


თურქეთ-ამერიკის
შეთანხმებული
მოქმედება
თაირანთან

A8

კიკაბიძე


□□□□□□□□□□

A11



ირანული კულტურის
კვირული დაიწყო

A9



24საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:


ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს


გაერთიანებული რესურსები


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ევროპული "ნითელი ხაზი" მოსკოვისათვის

ევროკავშირმა რუსეთთან საუბრის ტონი შეცვალა. ევროპელი მაღალჩინოსნები კრემლს ლიად მიანიშნებენ, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში მას ამბიციების მოთოკვა მოუწევს. ბრიუსელი მოსკოვისგან საქართველოდან ჯარების გაყვანას და მეზობლების წინააღმდეგ ძალის არგამოყენების გარანტიებს მოითხოვს. გარდა ამისა, ევროპის მოთხოვნებს შორისაა რუსეთის მიერ ენერგომატარებლების შეუფერხებელი მიწოდება და ადამიანის უფლებების დაცვა.

დმიტრი ავალიანი

ჩო-შეთანხმებაზე მოლაპარაკებების განახლება გადაწყვიტა. ეს მოლაპარაკებები გასული წლის სექტემბერში, ევროკავშირის საგანგებო სამიტის

გადაწყვეტილებით, საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის გამო შეწყდა.

მაშინ ევროპამ რუსეთს სამშვიდობო შეთანხმების ყველა პუნქტის უპირობოდ შესრულება მოსთხოვა. თუმცა, მოლაპარაკებები, მოსკოვის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიუხედავად, ბრიუსელის ინიციატივით ისევ განახლდა.

გუშინ ბრიუსელში რუსეთის მიმართ პრინციპული განცხადებები გაისმა. როგორც საგარეო და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის კომისარმა ბენიტა ფერეროვალდენერმა განაცხადა, "ევროკავშირის და რუსეთის პოზიციები საქართველოს მიმართ კვლავ მნიშვნელოვნად განსხვავდება და ისინი [მოსკოვი და ბრიუსელი] ურთიერთობათა გზაჯვარედინზე იმყოფებიან."

ბაბრძილაბა A3 გვერდზე

მაგველი რბოლი ხელისუფლებებისთვის - კომუნიკაცია ოპოზიციასთან

ინტერვიუ რუსეთში საქართველოს ყოფილ ელჩთან, ეროსი კინმარიშვილთან

მაია ქალაგანიძე

- ჩვენ ვკარგავთ დროს, იგივე სცენარით ვმოქმედებთ, როგორც აგვისტოს ომამდე. არადა, კონსტიტუტურა მთელ მსოფლიოში იცვლება. ფაქტია, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკა არამხოლოდ რუსეთთან მიმართებაში იცვლება. ჩვენ კი იგივე მოცემულობაში ვრჩებით და ამით ბუმის პოლიტიკის ნარჩენები, ბოლო ბასტიონი გამოვდივართ. საქართველოს თემა აქტუალობის რიგში პირველი ხუთეულიდან ჩამოვარდა, ეს ალიარეზული ფაქტია.

ჩვენ ასპარეზად მხოლოდ შენევის ფორმატი დავგრჩა. იქაც ვუშვებთ ქორს - ადამიანს, ვინც საქართველოს საგარეო უწყებაში აგრესიულ პოზიციას წარმოადგენს - ბოკერია ეძებს შეხების წერტილებს. გარდა ამისა, შიდა მოხმარებისთვის ომის გააფთრებული რიტორიკაა, მუდმივად გვესმის, რომ რუსეთი ძლიერდება, თავს გვესხმის და ა.შ. მზადდება განწყობა, რომ ისევ რაღაც ცუდია მოსალოდნელი. ვერ ვხედავთ ვერც ერთ მცდელობას, გამოინახოს დიალოგის ფორმა, ჩვენ არაფერს ვაკეთებთ გარდა იმისა, რომ ვითხოვთ ფულს თავდაცვისთვის. რეალობაზე თვალს ვხუჭავთ. რეალობა კი ასეთია - ამერიკის საგარეო პოლიტიკაში ზუსტად განისაზღვრა პრიორიტეტები, ობამას პოლიტიკის მთავარი თემები ირანისა და ავღანეთის საკითხი ხდება. ჩვენ ძალიან გვემეზობლება ეს ორივე თემა. გარდა ამისა, ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ მკაფიოდ განაცხადა, რომ მთავარი იარაღი დიპლომატიაა. ამის დასტურია სპეცნარმომადგენლების ინსტიტუტის გაძლიერება და ადგილებზე ძალიან გავლენიანი პირების დანიშვნა - რიჩარდ ჰოლბრუკი ავღანეთის მიმართულებაზე დაინიშნა, ჯორჯ მითჩელი - ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორივე მიმართულებით ძალიან აქტიურად იმუშავებენ.

ბაბრძილაბა A4 გვერდზე



24საათი

The New York Times

Weekend

Articles selected for 24saati

1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი წინა იორკ თაიმსთან ერთად ელირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ელირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმოწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით	52 ლარი;
6 თვით	26 ლარი;
3 თვით	13 ლარი;
1 თვით	4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;

ბიზნესმენების ტრადიციული დაჯილდოება

გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" მცირე ბიზნესის წარმომადგენლები დააჯილდოვეს. დაჯილდოებას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო, რომელმაც ბიზნესმენებს სიტყვით მიმართა და მთავარი აქცენტი საქართველოში მცირე ბიზნესის მნიშვნელობასა და მხარდაჭერაზე გააკეთა.

ქვეყნის პირველმა პირმა დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ნაოსნობას შეადარა და აღნიშნა, რომ "თუ სწორად იმართება პატარა ნავი, შეიძლება მაღალ ტალღებში უფრო კარგად გამოძვრეს, ვიდრე დიდი გემი. ამისთვის კარგი, სინქრონული ნიჩბოსნობაა საჭირო," - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მცირე მეწარმეთა რიგით მეოთხე დაჯილდოებაზე საქართველოს პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ "ქართველების დამარცხება მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ და ციხე შეგინიდან ტყდება. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ მოხდება," და დასძინა: "ჩვენ არ უნდა ჩამოვიშალოთ როგორც საზოგადოება და მსოფლიო კრიზისს უნდა გავუძლოთ."

ქვეყნის პირველმა პირმა მსოფლიო კრიზისის პირობებში ქართული ლარის სიმყარეზეც გაამახვილა ყურადღება და ისიც აღნიშნა, რომ ქვეყანამ საბანკო სისტემა შეინარჩუნა.

"შერატონ მეტეხი პალასში" შეკრებილი მცირე მეწარმეები ოთხ ნომინაციაში დააჯილდოვეს. ოთხივე ნომინანტს მერკურის (ვაჭრობის ღმერთის) ქანდაკება გადაეცა.

საკუთარი ინფორმაცია

"პირველი არხი" ოქრუაშვილისთვის ეთერის დათმობას არ აპირებს

საქართველოს სახელმწიფოს მიერ ძეგნილი და მსჯავრდებული პირებისთვის ეთერის დათმობას "პირველი არხი" საერთაშორისო სტანდარტების დარღვევად მიიჩნევს. "პირველი არხის" წარმომადგენელთა განმარტებით, ასეთი პირები არიან იგორ გიორგაძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ლევან მამალაძე, ემზარ კვიციანი და სხვები. "პირველი არხის" ხელმძღვანელობის განცხადებით, პარტია "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი ეკა ბესელია გადაცემა "პოლიტიკურ კვირაში" ცდილობდა მიეღო გარანტია, რომ ინგა გრიგოლია ირაკლი ოქრუაშვილს ტელეხილის მემფობით ინტერვიუს ჩამოართმევდა და არც მალავდა, რომ გადაცემაში სწორედ ამ გარანტიის მიღების მიზნით მონაწილეობდა. "პარალელურად, ბესელია მანიპულირებდა იმ ფაქტითაც, რომ "პირველი არხის" ეთერში გრიგოლიას მუშაობა მისი დამსახურებაა. პოლიტიკოსი ქალბატონისგან ისმოდა ბრალდებები "პირველი არხის" პოლიტიკური მიკერძოების შესახებ, რისი კონკრეტული მაგალითიც ბესელიამ ვერ დაასახელა," - აღნიშნულია განცხადებაში.

არხის წარმომადგენელთა განცხადებით, ხელმძღვანელობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება არხზე ყოველგვარ ზეწოლას, განსაკუთრებით კი ზეწოლის ისეთ უხეშ მცდელობას, როგორსაც ბესელია მიმართავდა. მათივე განცხადებით, "პირველი არხი" განუხრელად იცავს "მაუწყებლის შესახებ" კანონის მეთხუთმეტე მუხლის დებულებებს, თავად განსაზღვრავს სარედაქციო პოლიტიკას და მოუწოდებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, განუხრელად დაიცვან კანონი და მედიასთან დამოკიდებულების ეთიკური ნორმები.

მედიანიუსი

კლინტონმა და უშაცკისმა საქართველოზეც ისაუბრეს

ვაშინგტონში გამართული შეხვედრისას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიგაუდას უშაცკისმა, სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოზეც ისაუბრეს. როგორც უშაცკისმა შეხვედრის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, ლიტვა მხრას უჭერს საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებას და ამ ქვეყნებმა ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებისაგან ბევრი რამ უნდა ისწავლონ. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი იმედოვნებს, რომ ამერიკის ახალი სახელმწიფო მდივანი და მისი გუნდი საქართველოს და უკრაინის საკითხზე ნაყოფიერ მუშაობას გააგრძელებს.

მედიანიუსი

საპარლამენტო ოპოზიციის დია და უმრავლესობის დახურული ტრიბუნა

გიორგი ასანიშვილი

ჯონდი ბალათურია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ გოგა ხაჩიძის იმპიჩმენტის მოთხოვნით პარლამენტში ხელმოწერებს აგროვებს. "ქართული დასის" ლიდერი მთავრობის წევრს დანაშაულის დაფარვაში სდებს ბრალს. ბალათურიას განცხადებით, გასული წლის 12 დეკემბერს, გოგა ხაჩიძე თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ხარების სახელობის ეკლესიის კარის შემტვრევის ფაქტს ესწრებოდა და თანამონაწილეც იყო.

"სამართლებრივად, ეს არის, მინიმუმ, დანაშაულის დაფარვა. დავუშვათ, მინისტრი თავად არ ამტვრევდა ეკლესიის კარს, მაგრამ ხომ იცოდა, რომ სხვები ამტვრევდნენ? ეკლესია არ იცავს და ასეთი კაცი სამშობლოს დაიცავს? ხეს, ტყეს, მდინარეს და მდელს დაიცავს?" - აღმოფთებით საუბრობს ბალათურია. იგი სთხოვს დეპუტატებს, პირველ რიგში კი "ქრისტიან-დემოკრატებს", რომლებიც, მისი თქმით, "ეკლესიური თემატიკით ხშირად გამოდიან", ხელი მოაწერონ გოგა ხაჩიძის გადაყენების მოთხოვნას.

"ქართული დასის" ლიდერს ხელმოწერების შესაგროვებლად კოლეგებთან კარდაკარ სიარული არ დაუწყია და მონოდება ხელმოსაწერად თავის სამუშაო მაგიდაზე დატოვა, თუმცა მთელი გუშინდელი პლენარული სხდომის განმავლობაში დოკუმენტით არავინ დაინტერესებულა.

პარლამენტარებში დიდი ენთუზიაზმი არც ჯონდი ბალათურიას მეორე შეთავაზებას გამოუწვევია, რომლითაც "ქართული დასის" ლიდერი დეპუტატებს ღამის ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პირდება. ოპოზიციონერი პარლამენტარის თქმით, "ქართულ დასში" მომზადდა "უნიკალური

ნათელა ლომიძე

პროექტი", რომლის რეალიზების შემთხვევაში, ადამიანები საბანკო დავალიანებებისგან გათავისუფლებიან, თავად საბანკო სექტორიც გამოცოცხლდება და ეკონომიკის სტიმულირება მოხდება.

"პროექტის არსი მდგომარეობს არალიკვიდური აქტივების შესყიდვაში, რაშიც სახელმწიფოს არც ერთი თეთრი არ დაეხარჯება. საქმე ეხება ფაქტობრივად უდანაპარგო კომპინაციას, რომლითაც ყველა მხარე მოგებული დარჩება. შედეგები უნიკალური იქნება," - საკმაოდ ოპტიმისტური სურათის დახატვის მიუხედავად, ჯონდი ბარათურია, როგორც აღვნიშნეთ, ვერც ამ შემთხვევაში შეძლო კოლეგების დაინტერესება.

სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკას ეხებოდა ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანის გუშინდელი გამოსვლა. მისი განცხადებით, "ჭიათურმანგანუმის" აქციონერები ოთხი თვის განმავლობაში პერმანენტულად მართავენ აქციებს და სასამართლოს ძალით მათთვის მინიჭებული

უფლების რეალიზებას ითხოვენ, რაც საწარმოს მიერ ფულადი კომპენსაციის გადახდას გულისხმობს.

ახვლედიანის თქმით, ხელისუფლება ამ ადამიანების სამართლიანი მოთხოვნების სრულ იგნორირებას ახდენს. "ქრისტიან-დემოკრატები" ითხოვენ, რომ მთავრობამ "ჭიათურმანგანუმის" გაკოტრების გაუწინარებული მმართველი მოძენოს და მისგან ახსნა-განმარტება მოისმინოს.

კიდევ ერთი ოპოზიციონერი პარლამენტარი გურამ ჩახვაძე კი დევნილების სტატუსის საკითხის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულების გადახედვას ითხოვს. როგორც დიდუბის მაჟორიტარი დეპუტატი აღნიშნავს, ასეთი სტატუსის არარსებობის გამო ცხინვალის რეგიონიდან ზოგიერთი დევნილი კომპენსაციის მიღებას ვერ ახერხებს.

გუშინვე, პლენარული სხდომის დასრულების შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობის დახურული სხდომა გაიმართა, რომელზეც სახელისუფლებო ფრაქციის წევრებმა პარასკევს დასამტკიცებელი

ელჩების კანდიდატურებზე იმსჯელეს. დეპუტატებმა განიხილეს აგრეთვე საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები, რომლითაც საჯარო მოსამსახურეთათვის ენ "დიპლომატიური საჩუქრების" ღირებულების ზღვარი (300 ლარი) დგინდება.

გარდა ამისა, მმართველი გუნდი ხელისუფლების მხარდამჭერი მაჟორიტარი დეპუტატების უფრო გააქტიურებას ითხოვს და საჭიროდ მიიჩნევს, რომ ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს, მათ მოსახლეობას მიაწოდონ ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც ხელისუფლება ახორციელებს (იაფი სესხი, იაფი დაზღვევა და სხვ.).

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევენ ამ ტენდენციის ინტენსიურად გაშუქებას ტელეეთრით, რათა მოსახლეობამ დაინახოს, რომ ხელისუფლება არა მარტო არჩევნების წინ, არამედ არჩევნებს შორის პერიოდშიც გულმოდგინედ მუშაობს.

24 საათი

რუსეთის კანონმდებლობით ბრალდებული საქართველოს მოქალაქეები

საქართველოს მოქალაქეები - პედაგოგები გივი ჩიგოვეი და თამარ ჩარაგვა ერთ კვირაზე მეტია, ცხინვალის იზოლატორში იმყოფებიან. ცხინვალის სეპარატისტული ხელიისუფლება მათ სამშობლოს დალატში ადამაშულებს. ამის შესახებ გუშინ ქართულ-ოსურ კავშირის თავმჯდომარემ, თავდაც პრალდებულმა მაია ცაბოშვილმა საგანგებო მმართვა გააკეთა. მისი თქმით, 2006 წლის ნოემბერში, კოკოითის რეჟიმის ძალოვნებმა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსით საქმე აღძრეს სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის წინააღმდეგ.

"რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექ-

სის მიხედვით, ჩვენ ბრალდებულები ვართ 275-ე მუხლით, 278-ე მუხლის მეორე პუნქტით და 280-ე მუხლის პირველი პუნქტით (სამშობლოს დალატი და ხელისუფლების დამხობის მცდელობა)," - განაცხადა მაია ცაბოშვილმა.

მისივე თქმით, იმ დროს, როდესაც ამ პირებს ბრალი წაუყენეს, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საჯარო გამოსვლებში საქართველოს აღიარებდა იმ საზღვრებში, რომელიც გაეროს მიერ იყო აღიარებული, თუმცა საქმე მაინც რუსეთის კანონმდებლობით აღიძრა.

ცაბოშვილის განცხადებით, მას დაუკავშირდნენ გივი ჩიგოვეის ოჯახის წევრები. მათი ინფორმაციით, გივი ჩიგოვეს,

რომელსაც მძიმე ოპერაცია აქვს გადატანილი, იზოლატორში გულის შეტევა დაემართა. თამარ ჩარაგვა კი ასთმით არის დაავადებული.

"მოუწოდებ რუსეთის ხელისუფლებას, გაკეთდეს მაქსიმუმი, რომ ეს ორი, სრულიად უდანაშაულო ადამიანი არ იყოს უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი. მინდა მოვუწოდო საერთაშორისო თანამეგობრობასაც, რომ მათი მხრიდან ყველაფერი გაკეთდეს, რათა არ გაგრძელდეს ადამიანის უფლებების ასეთი უხეში დარღვევა," - აღნიშნა ქართულ-ოსური კავშირის თავმჯდომარემ.

მისი თქმით, ედუარდ კოკოითიმ ვლადიკავკაზში გააკეთა განცხადება, რომ მისი დამ-

ხობის მოსურნეთა შორის მაია ცაბოშვილიც არის. "მივმართავ კოკოითის, რომ ამის არც სურვილი მაქვს და არც მიზანი. მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი რეჟიმის დამხობისა, გარდა ამისა, ასეთი ტიპის რეჟიმი ადრე თუ გვიან თვითონვე ეშხობა. კოკოითმა იცის, რომ მას სერიოზული პრობლემები აქვს და ამ პრობლემების წყარო არ არის თბილისი და, მით უმეტეს, მაია ცაბოშვილი. ეს მოდის მოსკოვიდან," - დასძინა ცაბოშვილმა და იმედოვნებდა, რომ კოკოითი თვითგადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე მაინც გაათავისუფლებს ამ ადამიანებს და მათ თავის პირად პატიმრებად არ აქცევს.

გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "გვპ". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუაშვილი, პაატა მუშაპიძე.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშინია (რევიუ), კახა ფარუაშვილი (სპორტი). რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ევროპული "წითელი ხაზი" მოსკოვისათვის

პირველი გვერდიდან

"ომმა საქართველოში და გაზის კრიზისმა უკრაინაში [რუსეთისადმი] ჩვენი ნდობა შეარყია. თუმცა, რუსეთი სერიოზულად დაზარალდა გლობალური კრიზისის შედეგად, განსაკუთრებით ენერგომატარებლებზე ფასების დაცემის გამო," - აღნიშნა ვალდენერმა.

მისი თქმით, "როდესაც თებერვლის დასაწყისში რუსეთში ჩავედი, დავინახე, რომ ჩვენ შორის თანამშრომლობაზე მოთხოვნილება იზრდება."

ვალდენერმა აღნიშნა, რომ ევროკავშირი და რუსეთი ამჟამად მუშაობენ შეთანხმებაზე, რომლის მიზანი სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება და სადავო საკითხების მოგვარებაა.

"პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის წინადადება ევროპაში უსაფრთხოების შესახებ ახალ შეთანხმებაზე სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ. ეს ევროკავშირისთვის არის შანსი, გაავლოს მკვეთრი წითელი ხაზი, რომელიც რუსეთის მოვლადიდან და საქართველოდან ჯარების გაყვანას დაავალდებულებს," - აღნიშნა ვალდენერმა.

მოსკოვის მიმართ ასევე კატეგორიულები იყვნენ ევროპარლამენტარები. ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტმა რუსეთთან ჩარჩო შეთანხმების გაფორმებაზე მოლაპარაკე-



ბენიტა ფერერო ვალდენერი: "ომმა საქართველოში და გაზის კრიზისმა უკრაინაში [რუსეთისადმი] ჩვენი ნდობა შეარყია."

ბებისთვის ევროკავშირისთვის საკუთარი რეკომენდაციები შეიმუშავა.

"ევროკავშირსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებები არ უნდა იქნას აღქმული, როგორც საქართველოში შექმნილი სტატუს-კვოს ლეგიტიმაცია. ახალი შეთანხმების მეშვეობით, რუსეთს უნდა დაეკისროს ვალ-

დებულება, არასდროს გამოიყენოს ძალა მეზობლების წინააღმდეგ," - ნათქვამია ევროპარლამენტარების მიერ მომზადებულ დოკუმენტში.

მოსხენება კომიტეტს ლიბერალური ფრაქციის წარმომადგენელმა, პოლონელმა დეპუტატმა იანუშ ონიშკევიჩმა წარუდგინა.

გარდა ამისა, ევროპული პარლამენტარები რუსეთისგან მოითხოვენ, ხელი შეუწყოს კონფლიქტების გრძელვადიანი პოლიტიკური მოგვარების გზების ძიებას.

დოკუმენტის თანახმად, ევროკავშირ-რუსეთის მოლაპარაკებები ასევე უნდა იქნას გამოყენებული რუსეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ევროპაში გაზის ტრანზიტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მოსკოვის მიმართ ევროკავშირის პრინციპული პოზიცია თბილისში დადებითად შეაფასეს.

"რუსეთი სულ უფრო მეტად აგრესიულია მეზობლების მიმართ. არ შეიძლება, ეს არ იწვევდეს ევროკავშირის შეშფოთებას. კარგია, თუ ევროკავშირმა გადაწყვიტა, რუსეთს გარანტიები უფრო ენერგიულად მოსთხოვოს," - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ.

თავის მხრივ, პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიამ ვილმა ბენიტა ფერერო-ვალდერის განცხადება რუსეთისთვის გაზაფხილ სიგნალად შეაფასა. იგი მიიჩნევს, რომ ეს რუსეთისთვის მეზობელი ქვეყნის სუვერენიტეტის პატივისცემის შეთავაზებაა, რაც "ევროპული გეგმის კონკრეტულ ელემენტს წარმოადგენს."

სეპარატისტები სახლავის კონფისკაციას იწყებენ

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების კონფისკაციას იწყებს. ამ საკითხის გამო სოხუმიდან ტყვარჩელში ჩასულმა სეპარატისტებმა ადგილობრივი გამგეობის ადმინისტრაციასთან საგანგებო შეხვედრები გამართეს.

სოხუმის მარიონეტული რეჟიმი ადგილობრივი გამგებლებისგან იმ ოჯახების სიებს ითხოვს, რომლებსაც ბოლო ექვსი თვის მანძილზე სოფელ ჩხორთოლში, ოქუშში, აგუბე-დასა და ბედიში არ უცხოვ-

რიათ. ეს სოფლები ადრე გალის რაიონს ეკუთვნოდა. ორი წლის წინ კი, ბაგაფშის მარიონეტულმა რეჟიმმა ისინი ტყვარჩელის რაიონს შეუერთა.

სიების წარდგენის შემდეგ, სეპარატისტები იმ ადამიანთა საცხოვრებელი სახლებისა და ბინების კონფისკაციას გეგმვენ, რომლებსაც ბოლო 6 თვის განმავლობაში საკუთარ სახლებში არ უცხოვრიათ. ჩამორთმეული სახლები აუქციონზე გაიყიდება ან მათში სხვა ოჯახებს ჩაასახლებენ.

არსებული ინფორმაციით, აფხაზეთის სეპარატისტული

ხელისუფლება მოსახლეობის აღწერასა და საცხოვრებელი სახლების კონფისკაციას უახლოეს მომავალში გალის რაიონის სოფლებშიც გეგმავს.

გუშინვე ოკუპანტებმა გალის რაიონის სოფელ ნაბაკეში დამატებითი ტექნიკა შეიყვანეს.

"აფხაზეთის მედია-ცენტრის" განმარტებით, სოფელში "ურალის" მარკის ხუთი ავტომანქანა შევიდა.

როგორც თვითმხილველი აღნიშნავს, მანქანებს, რომელთაც ჯავშანტრანსპორტიორები მიაცილებდნენ, ტენტი

შქონდათ გადაფარებული, მაგრამ მაინც შესამჩნევი იყო, რომ ისინი ასაფრთქებელი მოწყობილობებით და ტყვია-ნამლით იყო დატვირთული.

ამასთან, გალის პირველი საშუალო სკოლის ეზოში, სადაც რუსებს სამხედრო ბაზა აქვთ მოწყობილი, წინათ 35 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი იყო განთავსებული, დღეისათვის კი იქ მხოლოდ 2 ერთეული მძიმე ტექნიკა დარჩენილი. რუსმა ოკუპანტებმა ჯავშანტრანსპორტიორები, საგარეუდოდ, ენგურისპირა სოფლებში გადაიყვანეს.

საკუთარი ინფორმაცია

ყუთაბის აქცია მკაცრად რეგულირდება

ოპოზიციის ერთმა ნაწილმა 9 აპრილამდე ერთი თვით ადრე სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით თბილისში 48 ათასზე მეტი ხელმოწერა შეაგროვა. ამის შემდეგ 9 აპრილის კომიტეტში შემაჯავღმა ოპოზიციურმა პარტიებმა თბილისში ხელმოწერების შეგროვება შეწყვიტეს და ანალოგიური აქცია საქართველოს 16 დიდ ქალაქში გაავრცელეს. ეს ქალაქებია: ქუთაისი, ფოთი, თელავი, გორი, ზუგდიდი, ზესტაფონი, დღუშეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ახალციხე, მარნეული, გარდაბანი, რუსთავი, სენაკი, გურჯაანი, სამტრედია. რეგიონებში მიმდინარე ხელმოწერების აქციას პოლიტიკური ლიდერებიც დაესწრნენ.

გუშინ ჭალხის პარტიის ლიდერმა კობა დავითაშვილმა ქუთაისში, სამტრედიასა და ბათუმში ხელმოწერების შეგროვების აქციის პრეზენტაცია გამართა. ხელმოსაწერ ფურცლებზე აღნიშნულია ერთი დევიზი - "ერთად გადავარჩინოთ საქართველო, გადავგეს სააკაშვილი". 9 აპრილის აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა კობა დავითაშვილმა [24 საათთან] საუბარში კმაყოფილება გამოთქვა, რომ 10 მარტს თბილისის ფარგლებს გარეთ დაწყებულ [წყუთების აქციას] დიდი რეზონანსი მოჰყვა. [აქტივობა ძალიან მაღალია, ყუთებთან რიგები იყო. შედეგებს რამდენიმე დღეში შევითვალთ. ქუთაისში, სამტრედია და ბათუმში ჯერჯერობით თითო ყუთი დავდგით, მაგრამ მალე განსაკუთრებით ხალხმრავალ ადგილებში - ბაზრებსა

თუ რეგიონულ ცენტრებში მოძრაი ყუთებით გავალთ და ხელმოწერებს შევაგროვებთ,

- განაცხადა დავითაშვილმა. [ჭალხის პარტიის] ლიდერს მიაჩნია, რომ ხელმოწერების შეგროვების აქცია 9 აპრილამდე უნდა გაგრძელდეს. 9 აპრილის მიტინგისთვის კი რეგიონში მცხოვრები ოპოზიციის მომხრეების კონცენტრირება თბილისში უნდა მოხდეს. ამიტომ დავითაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოქალაქეების მიერ თავიანთი პოზიციის ამგვარი სახით გამოხატვას. [ჩვენ ვაგროვებთ არა მხოლოდ ხელმოწერებს, არამედ მხარდამჭერებსაც. ვინც ხელს აწერს, ის ამავდროულად მზადყოფნას გამოთქვამს, რომ ჩვენთან ერთად იბრძოლებს სააკაშვილის შესაცვლელად,

გუშინ 9 აპრილის მიტინგისთვის მზადება რუსთავეში მიმდინარეობდა. [წყუთების აქციას] დავსწრო პოლიტიკური მოძრაობა [თავისუფლების] ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე. მისი თქმით, რუსთავეში მიხეილ სააკაშვილის გადადგომისა და 9 აპრილის აქციაზე დასწრების მსურველთა აქტივობა საკმაოდ მაღალი იყო. [რუსთავეში 500-მდე მხარდამჭერი დაგვხვდა. დაახლოებით 2-3 საათის განმავლობაში კი დამატებით 400 ხელმოწერა შეგროვდა. ყუთების აქცია რუსთავეში სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება და საკმაოდ შთამბეჭდავ შედეგს ველოდებით, რადგან ხალხი ამ პროცესში ჩაბმას თვითონ გვთხოვდა,

საკუთარი ინფორმაცია

რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ოჯახები თბილისში საცხოვრებელ ბინებს მიიღებენ

შესაბამისი განკარგულებით, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული 170 სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრების თბილისში საცხოვრებელ ბინებით დაკმაყოფილებას გულისხმობს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავდაცვის მინისტრ დავით სიხარულიძეს უკვე მიმართა. პრეზიდენტი გუშინ რამდენიმე დაღუპულის ოჯახს შეხვდა. მან მათ მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ "არ გატყდნენ და საქართველოს მომავლის შენებას აგრძელებენ". "პუტინი მოდიოდა პირდაპირ თბილისზე და დედაქალაქის გადარჩენა სწორედ თქვენი ოჯახის წევრების მეშვეობით შეეძლო. იმ ადამიანების ოჯახები, ვინც თბილისი გადაარჩინეს, ნამდვილად იმსახურებენ, რომ სწორედ დედაქალაქში ჰქონდეთ ბინები," - განაცხადა სააკაშვილმა.

ამასთან, მან ექიმ ლერი ლაგურაშვილის ოჯახში სტუმრობისას ნათქვამი სიტყვები გაიმეორა და აღნიშნა, რომ მისთვის და ყველა თანამდებობის პირისთვის თითოეული ამ ჯარისკაცის ადგილზე ყოფნა პრივილეგია იქნებოდა. "სწორედ ამიტომ ჩვენი ამოცანაა, მათი საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. საქართველო არასდროს შეეგუება მისი ტერიტორიის ოკუპაციას," - დასძინა პრეზიდენტმა. აგვისტოს ომში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს აეროპორტის გზაზე არსებული ბინები გადაეცემათ.

პირველი

"ლეიბორისტები" ხელისუფლებას უცხოეთიდან შემოსული თანხების მითვისებაში ადანაშაულებენ

"ლეიბორისტული პარტია" ხელისუფლებას უცხოეთიდან შემოსული ჰუმანიტარული დახმარების მითვისებაში ადანაშაულებს და ყველა ოპოზიციურ პარტიას აღნიშნული ფაქტის ერთობლივი მონიტორინგისკენ მოუწოდებს. როგორც გუშინ "ლეიბორისტული პარტიის" გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა განაცხადა, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ უკვე გადმორიცხული ერთი მილიარდი ევროდან დანიშნულებისამებრ მხოლოდ ათი პროცენტი დაიხარჯა, დანარჩენი თანხა კი ხელისუფლებამ მიითვისა. პრესკონფერენციაზე "ლეიბორისტული პარტიის" ეკონომიკური საბჭოს წევრმა, პროფესორმა თამაზ შიშვილმა ოპოზიციას 9 აპრილის აქციის ორგანიზების ნაცვლად ხელისუფლების მიერ თანხების მითვისების გაკონტროლება და გამორეტსიტება ურჩია და უცხოეთიდან შემოსული დახმარების სხვადასხვა სფეროებზე გადანაწილების სისტემა წარმოადგინა. "აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს დასავლეთმა ოთხმილიარდნახევარი ევროს ოდენობის დახმარება გამოუყო. თუ აღნიშნული თანხები სწორად იქნება გამოყენებული, მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, საქართველო ძალიან წარმატებულ ქვეყნად იქცევა. მე მოვუწოდებ ყველა ოპოზიციურ პარტიას, მოახდინონ ამ საკითხზე რეაგირება, რადგან სანამ ისინი 9 აპრილის აქციებზე ლაპარაკით არიან დაკავებული, ხელისუფლება ამ თანხებს მითვისებს და მისი უკან დაბრუნება უკვე შეუძლებელი იქნება," - განაცხადა პროფესორმა თამაზ შიშვილმა.

მედიანიუსი

განათლების სამინისტროს საიტზე საზღვარგარეთის საუკეთესო სასწავლებლების სია განთავსდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ნიკა გვარამიას განცხადებით, სამინისტროს საიტზე საზღვარგარეთის იმ საუკეთესო სასწავლებლების სია განთავსდება, სადაც ქართველი მაგისტრანტების სწავლებას სახელმწიფო დაფინანსებს. ლაპარაკია ბიზნეს, სამართლის და საინჟინრო 35-35 საუკეთესო სკოლაზე, სოციალურ მეცნიერებათა 50 და ასევე ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების 50 სკოლაზე. ქართველი მაგისტრანტების მზავრობას, სწავლასა და საზღვარგარეთ ცხოვრებას სახელმწიფო დაფინანსებს. ამ საკითხით მთავრობის სხდომაზე ნიკა გილაური დაინტერესდა. საზღვარგარეთის წამყვან სასწავლებლებში ქართველი მაგისტრანტების სწავლების დაფინანსებას სახელმწიფო წელს პირველად განახორციელებს.

მედიანიუსი

რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებზე ვიზების გაცემა დაიწყო

გუშინ საქართველოში შეიქცარიის საელჩოს რუსეთის სექციამ, რომელიც საქართველოში რუსეთის ყოფილი საკონსულოს შენობაშია განლაგებული, საქართველოს მოქალაქეებზე რუსეთის ვიზების გაცემა დაიწყო. ყოფილი საკონსულოს შენობის წინ ბევრი ადამიანი შეიკრიბა. ვიზები მხოლოდ საქართველოს იმ მოქალაქეებზე გაიცემა, რომლებიც რუსეთში ჰუმანიტარული, გადაუდებელი სამკურნალო ან უახლოესი ნათესავების მონახულების მიზნით მიდიან. ვიზის მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს რუსეთის მოქალაქის ოფიციალური მინივერა. რუსეთში შეიქცარიის საელჩოში საქართველოს სექციამ მუშაობა 6 მარტს დაიწყო. რუსეთის იმ მოქალაქეებზე, რომელთაც საქართველოს ვიზის მიღება სურთ, არანაირი შეზღუდვა არ მოქმედებს.

მედიანიუსი

მახვილი რბოლი ხელისუფლებისთვის

– კომუნიკაცია ოპოზიციასთან

პირველი გვერდიდან

ამ კუთხით, ამერიკისთვის ჰაერით მნიშვნელოვანია რუსეთთან კარგი ურთიერთობის აწყობა, ჩვენ კი, გვინდა უზერხული პრობლემის როლი ვიტვირთოთ. ჩვენი, რეგიონული მასშტაბის კონსტრუქციული მოთამაშის როლი ქვემოთ იწვეს. ამერიკული დიპლომატიისთვის ვხდებით სემინტი, რომელიც პირდაპირ მხოლოდ რუსულ პრობლემას იკავებს. ამერიკის დიპლომატიისთვის ვხდებით სემინტი, რომელიც პირდაპირ მხოლოდ რუსულ პრობლემას იკავებს. ამერიკის დიპლომატიისთვის ვხდებით სემინტი, რომელიც პირდაპირ მხოლოდ რუსულ პრობლემას იკავებს. ამერიკის დიპლომატიისთვის ვხდებით სემინტი, რომელიც პირდაპირ მხოლოდ რუსულ პრობლემას იკავებს.

- თქვენი აზრით, რა რეალობაზე ხუჭავს თვალს საქართველოს ხელისუფლება და რატომ?

- ჩვენ არ შევიძინეთ რუსეთთან ურთიერთობის ადგილი, როგორც მნიშვნელოვანი ცვლილება რუსეთისადმი დასავლეთის მიდგომაში. გამომდინარეობს ვამბობთ, რომ ნატო აღიარებს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას. რუსეთის გარდა ამას ყველა აღიარებს, მაგრამ ეს საერთაშორისო სამართლის ნორმის ნაწილია და არ ვთვლი, რომ აქ დიდი რევოლუციები გველის. რა თქმა უნდა, ევროპა ამ აზრზე დარჩება. ფაქტია, რომ ნატო-მ ავგოსტოსის ომი და ჩვენი ტერიტორიების უზარმაზარი ნაწილის ოკუპაცია გადაწყდა, როგორც მომხდარი ფაქტი და ამის მიუხედავად, რუსეთთან ურთიერთობა დაიწყო. ჩვენ ისევ ვერ მივალნი ვერანაირ შედეგს და დღეს არანაირი ფორმატი არ გვაქვს არც ადმინისტრაციულ საზღვარზე და არც მის მიღმა. ამავე დროს, არ გვაქვს არანაირი გრძელვადიანი სტრატეგია. ისევ რუსეთის დემონიზაციის მიმართულებით მივდივართ, ისევ ვეძებთ საზოგადოებრივ განწყობას, რომ ადრე თუ გვიან რუსეთი დაიშლება, საკუთარი პრობლემებით დაიქცევა და ამით ჩვენ ძალიან ბედნიერები ვიქნებით. ანდა, თავისი პრობლემები რომ გადაფაროს, შემოვარდება და ომს დაგვიწყებს. ისევ იმ გზით მივდივართ, რასაც ოთხი წელია ვადგავართ და ახლა ჩვენ ძალის გამოყენების შედეგებს ვიძიებთ.

ჩემი წინადადება მარტივია და ის ორივე მხარეს ეხება. ერთ მხარეს დგას სააკაშვილი, რომელმაც არ იცის, რა ნაბიჯები უნდა გადადგას შემდგომში, რადგან მას რეალურად არ აქვს წარმოდგენილი თავისი სამოქმედო გეგმა, რადგან რთულ სიტუაციაშია და ნელ-ნელა თავს იქცევს იზოლაციაში.

- ამ ბრალდების დანარჩენი ოპოზიციაც უყენებს სააკაშვილს. თქვენი წინადადება კონკრეტულად რას გულისხმობს?

- ფაქტია, რომ ამ ომის დაწყება აბსოლუტურად გაუზარებელი ნაბიჯი იყო და სააკაშვილის მოლოდინები, რომ ამ გზით ის საგარეო პოლიტიკაში თუ შიგნით ქვეყანაში რაიმე წარმატებას მიაღწევდა, არ გამართლდა. დღეს ის საერთაშორისო ასპექტებს მხოლოდ იმ პრიზმაში უდევს, რომ იპოვოს დროებითი გამოსავალი. მაგრამ, გრძელვადიანი გამოსავალი არ იცის, მას საზოგადოების წინაშე არ წარმოუდგენია არც ერთი გრძელვადიანი გეგმა. ყოველწლიურ მოხსენებაშიც არ უთქვამს, როგორ უნდა გადაწყვიტოს ის ვალდებულებები, რომელიც მას, პრეზიდენტს ჰქონდა აღებული ქვეყნის წინაშე.

გარდა ამისა, ცდილობს ომის თემატიკა და ყველაფერი, რაც ომ-

თან არის დაკავშირებული, სულ სხვა პიარით გადაფაროს. შიდა მოხმარებისთვის ეკონომიკური საკითხები გააქტიურა. ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია და სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მისი საქმიანობის მთავარი ვექტორი 2008 წლის არჩევნების შემდეგ. ჩვენ ეს პრობლემები მაშინაც გვექონდა და ახლაც გვაქვს, მაგრამ მაშინ ამას არ ემატებოდა კატასტროფა, რასაც ორი სამხედრო ბაზის შექმნა, რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე უარის თქმა, ათიათასობით ახალი დევნილი და ასობით დაღუპული ჰქვია. ამ კითხვებზე პასუხი მას არ აქვს. იმ პირობებში, როცა ევროპისგან იღებს სულ სიცივეს, როცა მიმდინარეობს იმ ფორმატების ძებნა და მომზადება, თუ რა მექანიზმებით მოხდეს ჩვენი ნატოსთან ურთიერთობების დამუხრუჭება, მან არ იცის, როგორ უნდა ააწყოს ურთიერთობა რუსეთთან. ეს ფაქტია.

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან სააკაშვილის ფიგურის აბსოლუტური მიუღებლობაა. მეორე მხრივ, აუცილებელია რაიმე ურთიერთობის აღდგენა, აქ არ არის ლაპარაკი დიპლომატიურ ურთიერთობებზე, ან მომზადება, ან მომდევნო გაცვლასა და ერთმანეთთან პურმარილებით წარსულის დაბრუნებაზე. აქ ლაპარაკია რაციონალურ დიალოგზე, რომელიც რაღაც ინსტიტუტებს შორის უნდა არსებობდეს.

მეორე მხარეს გვყავს ოპოზიცია, რომელიც ამბობს, როცა ესენი არ იქნებიან, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, ჩვენ ვიცით, როგორ უნდა გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ოპოზიცია იცის. არავის, არც ერთ ძალას, არც შიდა და არც საგარეო ურთიერთობების ასპექტში ბოლომდე არ აქვს გარკვეული, საით მივდივართ და რა გვინდა. ჩვენ დროს ვკარგავთ. სააკაშვილი ერთ თვეში არ იქნება თუ სამ თვეში, რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებში წინ მიმავალი ნაბიჯებით მოძრაობა ჩვენს გარეშე ხდება, საქართველო ამოვარდნილია ამ კონტექსტიდან, არავითარ მონაწილეობას არ ვიღებთ იმის გარდა, რომ მარტივი ტიპის გამაღიზიანებელს ვეძნით.

მე ვამბობ, რომ ჩვენ უკვე უნდა გადავდგათ შემდეგი ნაბიჯები. სააკაშვილს ეს წინადადებები პრესის საშუალებით შევთავაზებ. პირველი - რუსეთთან ურთიერთობაში ან, რუსულ საკითხებში სპეცნარმომადგენლების ინსტიტუტი უნდა შემოიღოს; ამ ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს დიდი ავტონომია, ეს შეიძლება იყოს სამინისტრო სამინისტროში ან, თუ გნებავთ, პირდაპირ მასთან დაქვემდებარებული მოთამაშე, ან რომელიმე ნეიტრალური პოზიციის მქონე გავლენიანი მოთამაშე.

- კანდიდატურებიც ხომ არ შეარჩიეთ?

- მაგალითად, ირაკლი მენაღარიშვილი, თედო ჯაფარიძე, რეზო ადამია ან სხვა - ადამიანები, რომლებიც არ წარმოადგენენ ოპოზიციურ ასპექტს, ისინი ნეიტრალური ადამიანები არიან. მათ უნდა დაინიშნონ აქტიური მუშაობა არამხოლოდ მოსკოვში, არამედ ვაშინგტონსა და ევროპის დედაქალაქებში. უნდა ვიპოვოთ საშუალო კონსტრუქცია. ეს იქნება არა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, არამედ კომუნიკაციების მექანიზმების ძიება.

მეორე - ასევე შევთავაზებ შექმ-

ნილიყო საბჭო, რომელშიც შევიდოდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები. დღეს ოპოზიციაში დაგროვდნენ არამხოლოდ დიპლომატიური გამოცდილების, არამედ სახელმწიფოებრივი მუშაობის გამოცდილების მქონე ადამიანები - ზურაბიშვილი, ბურჯანაძე, ალასანი, ნოლაიდელი - მათ სახელმწიფოებრივი მმართველობის გამოცდილება აქვთ. მართალი გითხრათ, რადიკალიზაციის წინააღმდეგი ვარ. უნდა არსებობდეს რაიმე მოედანი, სადაც საზოგადოების ყველა ფენა თანხმდება, რომ ჩვენი მტერი არის რუსეთი, ყველა თანხმდება, რომ არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია რუსეთთან რაიმე სეპარატისტულ გარიგებაზე არ წავა და არც უნდა წავიდეს - ეს იქნება ფრენის აღდგენა, ღვინისა თუ ბორჯომის დაბრუნება რუსეთის ბაზარზე - რადგან ეს რუსეთისთვის იქნება პირდაპირი მესიჯი, რომ მან მიიღო დე ფაქტო თანხმობა ჩვენი ტერიტორიების დაკარგვაზე. თუ ოპოზიცია და ხელისუფლება ამაზე თანხმდება, იმაზეც შევთანხმდეთ, რომ საქართველოში ამ მიმართულებებით არავინ იქნება მესხეთე კოლონა. გავერთიანოთ ინტელექტუალური რესურსები, შევქმნათ მოედანი და ერთ საკითხში მაინც შევიდეთ საერთო სტრატეგია. ეს არის წინადადება, რომელზეც უარი მივიღე ხელისუფლებისგან, ხოლო ოპოზიციისგან ცივი დამოკიდებულება. ნეიტრალურმა მოღვაწეებმა თქვეს, ჩვენ ვმუშაობთ ე.წ. აჩიკო გეგმიდისა და ალექსანდრე რონდელის ჯგუფში, ვამზადებთ საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას და ჯერ კი არ უნდა ვიჩქაროთ რუსეთთან გააქტიურება, არამედ უნდა დაველოდოთ, რას გადაწყვეტენ [დიდები] ჩვენთან დაკავშირებით. მეჩვენება, რომ ეს რიტორიკა მისაღებია სააკაშვილისა და ვაშაძისათვის. მათი დასკვნა მორგებული იქნება სააკაშვილის ჩარჩოზე.

ოპოზიციისგან კი ეს განწყობა მივიღე - ეს კაცი მაინც მალე დამთავრდება და ამის შემდეგ დავეინწყებთ.

- ამ რადიკალიზაციის პირობებში ოპოზიცია კატეგორიულად გამორიცხავს ყოველგვარ კომუნიკაციას სააკაშვილთან. თქვენი ამ პასუხს არ ელოდით?

- ევლოდი. ჩვენი ისტორიის ოცნლიანი გამოცდილება და საქართველოში მომუშავე ყველა საერთაშორისო ჯგუფი ამბობს, რომ კომუნიკაციის არქონა ძალიან ცუდია ქვეყნისთვის. მაგრამ ეს არის ხელისუფლების პრობლემა და არა ოპოზიციის. იმიტომ, რომ, თუ გავსაძალოთ სააკაშვილი და პასუხისმგებლობა, პირველი ნაბიჯი შენ უნდა გადადგა და არა იმ გზით, რომ ქმნი პარლამენტს გარეთ დარჩენილ და პარლამენტს შიდა ოპოზიციას. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გამოიწვიოს შიდა გათიშულობა. თურმე, დღეს აღმოაჩინა სააკაშვილმა, რომ ოპოზიციას ბევრი ფული აქვს. ვინ ვიზე ლაპარაკობს?! ეს არ იცვლება, ამგვარმა მართვამ მიგვიყვანა 2007 წლამდე, ომამდე.

მე მზად ვარ ნებისმიერ მოედანზე სალაპარაკოდ. საგარეო საქმეთა სამინისტროში არ მივალ, რადგან ვიცი, იქ ვინ იღებს გადაწყვეტილებას, იმ ხალხთან ლაპარაკი დამთავრებული მაქვს...

- თქვენი ელჩობის დროსაც ვერ გამონახეთ საერთო ენა ქვეყნის მთავარ დიპლომატიურ უწყებასთან?

- ელჩობის დროსაც. რომ მეგონა, მე და გია ვაშაძე ერთ აზრზე ვიდექით, თურმე ის ჩემს ზურგს უკან სხვა რამეს აკეთებდა.

ჩემი შეთავაზებისთვის შესანიშნავი იქნება, თუ ოპოზიციას აქვს მოედანი რაციონალური დიალოგისთვის. ვფიქრობ, აქ უნდა შემოვიდნენ ნეიტრალური მოღვაწეებიც და მკვეთრი ოპოზიცია.

- ფიქრობთ, რომ ოპოზიცია დაგთანხმდება? დღეს ისინი თავად აცხადებენ, რომ დიალოგი, კომუნიკაციის ძებნა დღეს მათთვის პირველი რიგის ამოცანა არ არის.

- ვთვლი, რომ ახლა აუცილებელი ვისხდეთ და ამ თემებზე ერთად ვმუშაობდეთ. ვთქვათ, ხვალ სააკაშვილი მართლა წავიდა თუ წაიყვანეს და ხელისუფლებაში მოვიდა დღევანდელი ოპოზიციის მთავრობა და პარლამენტი. მაშინ ვინცებთ ნულიდან? სწორედ ეს არის 20 წლიანი უარყოფითი გამოცდილება. დღესვე უნდა დავინწყოთ ფიქრი ამ თემაზე.

- პირველ რიგში ვისთან დაინწყებთ კონსულტაციებს?

- ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს.

- საერთოდ, როგორი ურთიერთობა გაქვთ ოპოზიციურ სპექტრთან?

- ამ წუთას არანაირი.

- მთაბეჭდილება რჩება, რომ თქვენთან ურთიერთობას, თქვენს მიღებას ყველა ერიდება.

- არც ვეტყვები, რომ მერიდებოდნენ. არ მაქვს სურვილი, მაქსიმალურად ინტეგრირებული ვიყო, პირიქით, ვცდილობ მაქსიმალურად დისტანცირებული ვიყო, რომ მათთან ურთიერთობა შემეძლოს. ჩემი პოზიცია განსხვავებულია იმისგან, რასაც ყველა ეს ჯგუფი ქადაგებს. მთავარი განსხვავება მიდგომაშია. მიმაჩნია, რომ სააკაშვილის გაშვება შეცდომაა. სააკაშვილმა ბოლომდე უნდა მიიტანოს საკონსტიტუციო ვადა, ოღონდ, იმ პირობებში, როცა ვართმევთ ყველაფერს, რაც უკანონოდ აქვს მითვისებული - მედია, სასამართლო, საზოგადოებრივი ინსტიტუტები - ის, რაც პრეზიდენტს არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ ეკუთვნის არც კონსტიტუციურად და არც სამართლებრივად. ეს არის ჩემი მთავარი კონცეფცია.

შემდეგი განსხვავება - ვფიქრობ, რომ, რა ფორმითაც არ უნდა წავიდეს სააკაშვილი, აღმშენებლობა დასაწყები გვაქვს. ამ საქმის მოედნები საგარეო პოლიტიკურ ასპექტში არის ის, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ, ხოლო ქვეყნის შიგნით ის, რაზეც ახლა ვმუშაობ - ეროვნული განვითარების გეგმა. ეს მთელ მსოფლიოში ძალზე ცნობილი პროექტია, როცა ევროპული ქვეყანა ცდილობს გახდეს წარმატებული, ის განვითარების კონცეფციას ქმნის. ამას ქვეყნის საგზაო რუკასაც უწოდებენ. რა ხელისუფლებაც არ უნდა მოვიდეს, ეს მუდმივი გეგმაა, არ იცვლება.

მე ვმუშაობ როგორც დამოუკიდებელი ფონდი და ეს ფონდი ახლა იწყებს ადამიანების მოზიდვას. აქცენტები მაინც ამ ცოდნის მატარებელ ევროკავშირის რამდენიმე ინსტიტუტზე მაქვს. პირველი მიმართულება, ალბათ, ირლანდიული ჯგუფები იქნება, რომელთაც უკვე დაიწყეს მუშაობა. რუმინელების, ბულგარელების გამოცდილების შესწავლა-საც ვფიქრობ. ეს ქვეყნები ეკონომიკურად ჩვენთან ძალზე ახლო მდგომი ქვეყნები იყვნენ. ამას 2004 წელსაც ვფიქრობდი, რის გამოც

კონფლიქტი მქონდა ხელისუფლების პირველ და მესამე პირებთან. მაშინაც ვამბობდი, რომ უნდა გავაკეთოთ საგზაო რუკა და უნდა შევთანხმდეთ საით მივდივართ. რა გვინდა, რით არის საქართველო უნიკალური - სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და კიდევ რაღაც. არის კი ეს ყველაფერი საკმარისი ელემენტი ჩვენი უნიკალურობისთვის, თუ გვაქვს კიდევ რამე პერსპექტივა?! შეიძლება, მაღალი ტექნოლოგიები ავითვისოთ და ფინეთის გზით წავიდეთ, ან ირლანდიის... ჭკვიანი ხალხი ვართ, გვაქვს იმპროვიზაციული აზროვნება, არტისტული, მახვილი გონება და ა.შ. შესაძლებელია, ეს სფერო იყოს ჩვენთვის ძალზე პერსპექტიული. მაგრამ, ეს უნდა შეფასდეს რაღაც კრიტერიუმებზე დაყრდნობით და სახელმწიფოსთან ძალიან აქტიური თანამშრომლობით.

- 2004 წელს რატომ ვერ შეთანხმდით თქვენს თანამოაზრეებთან?

- მაშინ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ჩემს პიროვნებას. პირველი რიგის ამოცანა იყო მოეპოვებინათ მთავარი კონკურენტი შიდა პოლიტიკურ განვითარებაში. მაშინ რომ ჩვენ ეს დაგვეწყო, 5 წლის თავზე რეფორმების პირველი უდიდესი ეტაპი ნამდვილად დამთავრებული იქნებოდა.

რაც შეეხება ეროვნული განვითარების კონცეფციას - ეს არის ჩემი ერთი მთავარი ხაზი. დღევანდელი ოპოზიცია იქნება ხელისუფლებაში თუ ისევ დღევანდელი ხელისუფლება, არ აქვს მნიშვნელობა. ამ წუთში ეს ინსტრუმენტი საჭიროა იმისთვის, რომ ყველამ ერთად გავხადოთ ნაციონალურ იდეად და მერე ამ იდეის გარშემო ვიმოძრაოთ.

- დიდი მისიაა...

- არსად არ მეჩქარება და არც საქართველოს ეჩქარება, რისი გაფუჭებაც შეიძლებოდა, უკვე გაფუჭდა. ყველაზე ცუდი ნაბიჯები უკვე გადავდგით.

ამას გავსწავლიდა ჩვენი, მნიშვნელობით პირველი ნაწარმოები - გველსა ხერხლით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო...□

გადახედეთ ჩვენს სამეზობლოს - თავისი ნაციონალური ინტერესების, ამოცანების გადაჭრა ყველამ მეტნაკლები წარმატებით მოახერხა. ძალიან რთული სამეზობლოა რუსეთი, მაგრამ ირლანდიამ ეს მოახერხა. 2004 წელს ვთავაზობდი სააკაშვილს - დაიწყო ამ პრობლემის დღეს გადაწყვეტაზე ფიქრი, მოდი, ქვეყანა ავაშენოთ, ეკონომიკურად განვითარდეთ. აფხაზები და ოსები აქეთ მოვილენ. ირლანდიამ, ჩვენსაირი პოპულაციით და ტერიტორიული პრობლემებით, წარმატებული ეკონომიკით მოგვარა ძალიან ბევრი პრობლემა.

- ირლანდიას საბჭოთა რუსეთი არ ემეზობლებოდა...

- უკაცრავად, მაგრამ ინგლისსაც იგივე რეჟიმი ჰქონდა. კარგი, ვერ გავხდებით ხვალ ირლანდია, მაგრამ ხომ უნდა ვეცადოთ? ნუ ვიტყვით, რომ ვართ უნიკალურად დაჩაგრული ერი და მარტო ჩვენ არ გვიმართლებს არაფერი.

ახლა გვავართ იმ ნავს, რომელსაც დაკარგული აქვს მართვის მოწყობილობა, ჩვენი ვექტორი არ გვაქვს. ჩვენი ვექტორის ძებნის დაწყებას ვთავაზობ და ეს ამ დისკრედიტებული ხელისუფლებისთვის მაშველი რგოლია, რათა ამ ოპოზიციასთან კომუნიკაციაზე წამოვიდეს.

მახვილი რბოლი ხელისუფლახისთვის

– კომუნიკაცია ოპოზიციასთან

ბაოთხა გვარდიძა

- თქვენ ნეიტრალურ სპეცნარ-მომადგენლებზე საუბრობთ და ამ უკიდურესი რადიკალიზაციისას სიტყვა „ნეიტრალური“ აპრიორი უნდობლობას ნიშნავს.

- არ ვამბობ, რომ ვარ ბოლო ჭეშმარიტება. ვამბობ, რომ ადამიანები უნდა საუბრობდნენ. არ შეიძლება ამ ისტერიზაციის პირობებში გავაგრძელოთ წარმატებული ქვეყნის მშენებლობა.

შევთანხმდეთ, რომ დიალოგის გარეშე არავითარი გზა არ არსებობს. როცა შევარდნაძის გადადგომას ითხოვდა ოპოზიცია და ასეულ ათასობით ადამიანი, მაშინაც კი მიმდინარეობდა პირდაპირი დიალოგი არამხოლოდ შევარდნაძესა და ოპოზიციის ამ ლიდერებს შორის, არამედ ძალიან ბევრი ხიდი იყო გადებული ცალკეულ მოთამაშეებთანაც. სწორედ ამიტომ იყო, რომ ძალა არ გამოიყენეს.

არ ვამბობ, რომ ყველაფერი, რასაც ოპოზიცია და სააკაშვილი გადაწყვეტენ, ობიექტულმა უნდა იცოდეს, ყველაფერი შეიძლება არც იყოს ყოველდღიურად აფიშირებული ტელევიზით, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ გავლენიანი ოპოზიცია და სააკაშვილი რალაც თემაზე მუშაობენ და საჯაროდ არ ყვირიან შედეგის დადგომამდე, და შედეგზეც საერთო პასუხისმგებლობას იღებენ, მე მგონი, კეთილშობილური აზრია.

- კონფლიქტებს შევვხვით. ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ, რომ აფხაზეთთან და, საერთოდ, კონფლიქტებთან დაკავშირებული არც ერთი ქართული ინიციატივა არ მიიღეს...

- ყველა ინიციატივას ერთი დიდი პრობლემა ჰქონდა - სააკაშვილის არათანმიმდევრულობა. ალასანიას ინიციატივა ცხადია, იყო შეთანხმებული სააკაშვილთან, მაგრამ, როცა ალასანია აფხაზეთიდან დაბრუნდა, ჩამოტანილი პასუხის სრული მიუღებლობა დახვდა. იმიტომ, რომ იმ მომენტისთვის სააკაშვილს უკვე ომი ჰქონდა გადაწყვეტილი. ალასანიას მცდელობა იყო ყურადღების გადატანის, ან მოღუნების მცდელობა. ეს ჩემი აზრი არ არის, ეს არის საერთაშორისო კრიზისჯგუფის დასკვნა, ამაზე ჩვენთან არ ლაპარაკობენ. ამერიკელების მხრიდან დიდმა პრესმა გამოიწვია ის, რომ ეს ყველაფერი მაშინ არ მოხდა. მაგრამ, რუსეთს ხომ უნდოდა, რომ ეს მომხდარიყო? შესაბამისად, მათ ალტერნატიული მექანიზმების ძიება დაიწყეს. სწორედ ამას ვეუბნებოდი, რომ დავნიით ტემპერატურა, რათა პროვოკაციების მექანიზმები არ დაეშვათ. მაგრამ არაფერი არ იცვლებოდა.

ჩვენი მხრიდან მუდმივად მოდიოდა, ერთი მხრივ, მაღალი ამპლიტუდის საომარი რიტორიკა და, მეორე მხრივ, ხელის გაშვება, სიყვარულის ახსნა. რუსეთთან ოთხი წლის განმავლობაში არ გვინარმოებია დიპლომატიური ურთიერთობა. როდესაც ზურაბ აბაშიძე გაუშვეს ელჩობიდან (ეს ჩემთვის მაშინვე მიუღებელი ნაბიჯი იყო), წაუყენეს ბრალდება, რომ მან, თურმე, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები გააყალბა. მერე დაინიშნა კოტე კემულარია, რომელმაც სულ ოთხი თვე გასტანა ამ თანამდებობაზე. ისეთი მექანიზმებია, რომ ელჩი რეალურად სამი თვე ვერ იწყებს მუშაობას. ამის შემდეგ, 8 თვით დაინიშნა ვალერი ჩეჩელაშვილი. კოტე კემულარიას, როგორც მის თანამებრძოლს, პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონდა სააკაშვილ-

თან. ჩეჩელაშვილი გამოცდილი დიპლომატი იყო, მაგრამ პრეზიდენტთან პირდაპირი კომუნიკაცია არ ჰქონია. მერე დაინიშნა ირაკლი ჩუბინიშვილი. მან საკუთარი თავი ვერ დაინახა ამ პოლიტიკურ ისტელიშმენტში და შეეცადა გაპარვას იმ ქვეყანაში, სადაც ის თავს კომფორტულად ხედავდა. მას **საქართველოში** უნდებდნენ. ორ წელზე მეტ ხანს არც ამთგან დასმული და არც თავისი ინიციატივით წარმოდგენილი არანაირი ამოცანა არ ჰქონია.

ქართული დიპლომატია ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო გენოფონდი იყო, კარგი ცოდნა იყო დაგროვილი. მე იქ შევხვდი ადამიანებს, რომლებიც ალფრთოვანებული დაერჩი, მაგრამ ისინი ჰგავდნენ კარგ მეზღვაურებს, რომელთაც არც კაპიტანი ჰყავთ და არც საგზაო რუკა აქვთ. მივედი ამოცანით, რომელიც თავად დავუყენე მათ, რადგან არც სააკაშვილისა და არც საგარეო უწყების მხრიდან არავითარი კომუნიკაცია არ იყო. გია ვაშაძეს სამშვიდობო ინიციატივებში თანამოაზრედ ვთვლიდი და ლიად ვსაუბრობდით იმაზე, რომ არა რუსების, არამედ სააკაშვილის გამო გვაქვს ძალიან ცოტა რესურსი, რომ საქართველოს ომი ავაცილოთ. ამაზე მე და გია ხშირად ვსაუბრობდით ხოლმე.

- როდის აღმოაჩინეთ, რომ თანამოაზრეები აღარ ხართ?

- 7 აგვისტოს. უფრო სწორად, ივლისის ბოლოს. გამონევეისთანვე მივევარი თხოვნი - ხომ გამოგზავნეს რუსებმა მესიჯი, ლარსის პუნქტს გავხსნითო, მიპასუხა, არა, ეგ არ გვაინტერესებსო. მერე მონვევა მოვიდა პრეზიდენტის სახელზე და არც ეგ გვაინტერესებსო. გიას ვუთხარი, დრო არ გვრჩება, რადგან რუსეთის პოლიტელიტა აგვისტოში შევებულებაში გადის და მერე ძვირადღირებულ კურორტებზე უნდა ვსდიო, აშდენი ფულიც არ აქვს ქვეყანას-მეთქი... ფულზე რომ ვეხვეწებოდი, დამიმატეთ ლობირების მექანიზმებისთვის-მეთქი, სასტიკი უარი მივიღე იმის მიუხედავად, რომ დამატებით ბიუჯეტზე შეთანხმებულ ვიყავით. ჩემი ჯიბიდან ვხარჯავდი, რაც დაკავშირებული იყო სადილებთან თუ ვახშმებთან. ნადი შევებულებაშიო, მითხრა გიამ, სექტემბრამდე არაფერი მოხდებაო. მერე მივხვდი, რომ ეს იყო ჩემი ამ თამაშიდან გაყვანის მცდელობა, ამას ყველანაირად ცდილობდნენ.

- იქნებ გვითხრათ, ომამდე რა ხდებოდა მოსკოვში, პოლიტიკურ წრეებში?

- ჩემს ახსნას შემოგთავაზებთ - სააკაშვილის ომზე პროვოცირება რუსეთს 2006-შიც, 2007-შიც, 2008-შიც შეეძლო. არ აკეთებდნენ და არა იმიტომ, რომ კარგები იყვნენ. ჩვენი პრობლემა უკავშირდებოდა იმას, რომ აქ მათთვის მისაღები პოლიტიკური პერსპექტივა იყო. ისინი თვლიდნენ, რომ ბადრი პატარკაციშვილის სახით აქ ხელისუფლების ტრანსფორმირებული შეცვლის პერსპექტივა ჰქონდათ. ძალიან კარგად ვიცოდი, რომ მოსკოვში ქართველი კრიმინალებისგან იკრიბებოდა **საქართველოში** რომელიც პატარკაციშვილს გადაეცა. ეს ყველაფერი ხდებოდა. ქართული სათვისტომოს კრიმინალური ნაწილის მხრიდან დიდი სამზადისი იყო. ეს ვიცოდი, ამ ნაწილში თანამოაზრეები ვიყავით, თორემ დანარჩენ ნაწილში - **იმედის** და **ბარბეკუ**, **ბადრის** განეიტრალების მიზნით, მილიარდნახევრის გადახდა **იმედის** საყიდლად, ეს არასწორი იყო. ხელი-

სუფლებას ტაქტიკაში არ ვეთანხმებოდი, თორემ სტრატეგიულად ერთ აზრზე ვიყავით - რუსეთს საქართველოში რეჟიმის შეცვლის მიზანი ჰქონდა.

პუტინის საქართველოსადმი ამ განწყობის შექმნა უკავშირდება 2004 წლის თებერვალში ქართული **ჩეგევარული** ინსტიტუტის ჩამოყალიბებას, პოსტსაბჭოთა სივრცეში ფერადი რევოლუციების ლიდერობას. უკრაინაში, მეიდანზე, ჩვენი 30 დეპუტატი მუდმივად იდგა და დროშებს იქნევდა. მერე იყო ყირგიზეთი, ყაზახეთი, ბელორუსი, აზერბაიჯანი - ის პროცესი, რასაც საქართველოში **ვარდების** რევოლუცია **ერქვა**, სააკაშვილმა მიიღო, როგორც მისი დამსახურება, დროშა, რომელიც მას ჩაბარდა და არეალი აღარ იყო. ეს ამბიცია იყო ყველაფერი და სხვა ქვეყნების საქმეებში ჩარევის გაუთავებელი რიტორიკა, როდესაც ამას არავინ გეკითხება.

2005 წლის დასაწყისში რუსეთში ჩამოყალიბდა განწყობა, რომ ეს რევოლუცია გააკეთეს ამერიკელებმა, იმისთვის, რომ შემდეგ ნასულიყო უკრაინაში და ადრე თუ გვიან, რუსეთშიც ჩასულიყო. სწორედ ამ დროს დაიწყო პუტინმა თავისი კონტრგეგმის შემუშავება.

სწორად დაწყობილი ფაქტები რომ გავაანალიზოთ და არა ის, როგორც ამას ჩვენი ელექტრონული მედია გვანვდის, კარგად დავინახავთ, როგორ ხდებოდა განწყობების აქსელერაცია.

საკაშვილი ამბობს, ასჯერ შევხვდი პუტინს და ამან შედეგი არ გამოიღო. პრეზიდენტების შეხვედრა ბოლო წერტილია, უმაღლესი სამიტია. მანამდე დიპლომატების მუშაობა მიდის და ამას შეხვედრის მომზადება ჰქვია. პუტინთან 4 წელი არ გაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, რუსეთში შენი საელჩო არ მუშაობს, არც კონტაქტი გაქვს, არც ინფორმაცია, არც ერთმა მინისტრმა არ იცის თავისი კოლეგის გვარი, არც კი შეხვედრია... რა შედეგი უნდა მიგვეღო?

- ახლა რა სამიშრობებია?

- ამ რეჟიმის ხელში სამიშროება არის. თუმცა არ ვიცი, მეტი რა შედეგი უნდა მიიღოს რუსეთმა. ძნელად წარმოსადგენია, რომ მათ თბილისი დაიპყრონ, ასეთი აუცილებლობა მათთვის არ დგას. ეს რეჟიმი, ასეთ დღეში ჩავარდნილი ქვეყანა, მათთვის უფრო ხელსაყრელია.

- სააკაშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიციას ფული ცუდი საქმეებისთვის შემოდის. რა ინფორმაცია გაქვთ ამ მხრივ?

- ტყუილია. ეს იგივეს ჰგავს, რასაც აკეთებდა 2007 წელს - ცნობილი შპოინების თემა. თუ რამე ინფორმაციას ფლობს ეს ადამიანი, ამის ვერბალიზაციას, დადასტურებას ვერ ახორციელებს.

- მერაბიშვილი დაგვპირდა, ამ დოკუმენტებს დავდებო.

- როცა დადებენ, მერე ვიმსჯელოთ, საზოგადოებას აღარ სჯერა ამისი. სააკაშვილმა ამ პროპაგანდისტული ტელევიზიებით ნდობა დაკარგა. მას უნდა დაეტოვებინა გახსნილი სივრცე, მედია გახსნილი უნდა ყოფილიყო. მისი ტრაგედია ისაა, რომ ყველა მინისტრზე, მის ჯგუფზე, მის ტელევიზიაზე, მის გარემოცვაზე მხოლოდ ის უნდა იყოს პასუხისმგებელი. პირად შეურაცხყოფად იღებდა, როცა ვეუბნებოდი, რომ ის მინისტრი არასწორად იქცეოდა.

დღეს ხალხი ყველაზე მეტად ენდობა ეკლესიას. რელიგიური თვალსაზრისით, ეს კარგია. დიდი

როლი ითამაშა პატრიარქმა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში, მაგრამ ეკლესია, როგორც საზოგადოებრივი საერო ინსტიტუტი სულ სხვა ამოცანების მატარებელი ინსტიტუტია და შესაბამისად, დღეს არც ერთი ინსტიტუტი არ არის ნდობის მატარებელი. სწორედ ესაა ღრმა სოციალური და პოლიტიკური კრიზისის მაჩვენებელი და ამით ვგავართ ზვიად გამსახურდიას მმართველობის ბოლო თვეებს.

- რას ფიქრობთ ოპოზიციის ტაქტიკასა და სტრატეგიაზე, რას მოიტანს ეს ყველაფერი?

- ვფიქრობ, დღევანდელი სიტუაცია ძალიან ჰგავს 91 წლის ბოლოს. ღრმა რადიკალიზაცია, როდესაც ოჯახის წევრები ერთმანეთს ყვირილით ელაპარაკებოდნენ, გამსახურდიას სიძულვილის ან სიყვარულის გამო. დღეს, შეიძლება, ამ მასშტაბით არა, მაგრამ დაახლოებით ასეა. ახლოს ვართ ამასთან, ყველა მოცემულობით შესაძლებელია ეს ასეც იყოს - გარე ძალების არსებობას ემატება კონკრეტული რევანშისტულად განწყობილი ადამიანი.

მეორე - არაფერს აკეთებს ხელისუფლება და ოპოზიციაც მაქსიმალური რადიკალიზაციისკენ მიდის. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ბურჯანაძის რადიკალიზაცია, მაგრამ ამ ნაბიჯით მან მოახერხა თავის მხარეს წაღო ინიციატივა. ჩემთვის სამწუხაროდ, მან ეს გზა აირჩია. თუმცა, პოლიტიკოსი ორიენტირებული უნდა იყოს შედეგზე. გრძელ თამაშში შედეგზე ორიენტირება ბევრად უფრო რთულია. ნინოს ნაბიჯი ჯაჭვური რეაქციით გამოიწვევს და გამოიწვია კიდევ ალასანიას რაციონალური გეგმების რადიკალიზაციაც და შემძლია ნიძლავი დავდო, რომ ადრე თუ გვიან, ეს ჯგუფიც იმ მიტინგზე აღმოჩნდება. ხაზს ვუსვამ, რომ ეს მთლიანად ხელისუფლების ბრალი იქნება.

დიდი რესურსი აქვს სააკაშვილს იმისთვის, რომ მონახოს რაციონალური გამოსავალი, მათ შორის, ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გამოსავალი და არა გამოსავალი კონკრეტულად სააკაშვილისა და მისი გარემოცვისთვის. ასევე დიდი რესურსი აქვს იმისთვისაც, რომ თავი დაიღუპოს. ის არ დგამს სწორ ნაბიჯს, რომ რაციონალურ გადაწყვეტას მიაღწიოს და ამას მხოლოდ ოპოზიციას წუდავებრალბთ. ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მას, ვისაც მართვის სისტემები უპყრია ხელთ.

ოპოზიციამ რომც მოახერხოს ამ 9 აპრილებიდან გამომდომად, რყევები მაინც გაგრძელდება და გაძალებული მმართველობის პირობებში ვიცხოვრებთ. ყველაფრის სრული აუტანლობა იქნება. თუ მას ქვეყნისთვის სიკეთე უნდა, კი არ უნდა წავიდეს და ზვიად გამსახურდიასავით არა გროზნოში, არამედ ევროპის დედაქალაქებში ირბინოს, ახლავე უნდა დაიწყოს გამოსავლის ძიება.

- დავუშვათ, ხვალვე წავიდა სააკაშვილი. როგორ გაართმევს თავს არსებული ოპოზიციური სპექტრი ქვეყნის მართვას?

- ვერ წარმომიდგენია, შევარდნაძესავით წავიდეს და თქვას, კრწანისში მომეცით მინის ნაკვეთიო.

საკაშვილი რომ დღეს გადადგეს, აქ დაიწყება ქონების გადანაწილება. რევანშისტული განწყობები არსებობს არა ოპოზიციის მხრიდან, არამედ, ყველა დაბოლმელი ადამიანისგან, ეს ტალღა შეჭამს

საქართველოს. პირველ რიგში, უნდა შევქმნათ რაციონალური ბუფერი. გამწარებული კრიმინალები, სამსახურდაკარგული პოლიციელები და სხვა - ამის გაჩერების მექანიზმი არ არსებობს. როგორც კი სააკაშვილი არ იქნება, მის თანამოაზრეებზე ბუნებრივი დევნა დაიწყება.

საკაშვილმა აჩვენა ცუდი მაგალითი იმისა, როგორ არ უნდა მოექცე შენს პოლიტიკურ ოპონენტებს. სიტყვა უნდა შეასრულო. ასლან აბაშიძეს მაშინ დავპირდით, რომ მასზე დევნას არ განვახორციელებდით. ამიტომაც წავიდა მშვიდობიანად. სააკაშვილმა დაარღვია ეს პირობა. დარღვევები სხვების მიმართ თავადვე აქვთ გაკეთებული და კარგად იციან, როგორ ხდება ეს. ამიტომაც საშიში სააკაშვილის გარემოცვა, მათ იციან, რომ ვერ გაასწრებენ. ყველა ვერ გაასწრებს.

კიდევ ძალიან ბევრი ადამიანია, ვინც არ ჩანს და მათ დიდი რესურსი აქვთ. ზვიად გამსახურდიას მერე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ავტომატით ხელში არ იდგნენ, მაგრამ გადატრილების მერე მოვიდნენ ხელისუფლებაში. ეს ახლაც მოსალოდნელია - ცვლილება სხვისი ხელით განხორციელდეს და მერე სხვები მოგვევლინონ. მაინცდამაინც რომელიმე ქვეყნის ინტერესებზე არ ვლაპარაკობ, ასეთი პარანოია არ მაქვს, გვუფლისძმოდ სააკაშვილამდევე ელიტას, შევარდნაძის ელიტას, კომუნისტურ ელიტას, რომელიც ახლა დაბოლმელი, მოლოდინის რეჟიმშია. ეს არ არის ოპოზიციის მხარდამჭერი ხალხი, ეს რესურსების მფლობელი ხალხია და ხვალ ვინ, როგორ, რა როლს ითამებს, რთული სათქმელია.

- დაბოლოს. თქვენსა და ზურაბ ჟორჟოლიანს შორის გუდაურში მომხდარ ინციდენტზე ამ უკანასკნელმა საჯაროდ გააკეთა განცხადება და თქვა, რომ ეს შეხლა-შემოხლა მისი ოჯახის ღირსების დასაცავი აქტი იყო და არაფერი ჰქონდა საერთო თქვენს პოლიტიკურ პოზიციასთან. გსურთ პასუხის გაცემა?

- მოვისმინე ჟორჟოლიანების განცხადებაც და ამ საკითხზე მათი ინტერპრეტაციაც. არავითარი საქმე არ მაქვს ამ ადამიანებთან. მე რომ მათთვის წვრილმან ხულიგნობაში ბრალის დადება მდომოდა, შესაბამისი საჩივრით მივმართავდი პოლიციას. ეს რომ ხულიგნობა არ არის, ამის მაჩვენებელია მათი რეაგირება. ეს ადამიანი არ არის უბრალო გამეღვლი და არავინ შეხება მისი ოჯახის ღირსებას. აშკარაა, რომ ეს ხელისუფლების მხრიდან ანგარიშსწორებაა. მთელი იმ დღის განმავლობაში, რაც ინციდენტის შესახებ გახდა ცნობილი, არც პოლიცია შემხმინებია და არც ერთ სახელისუფლებო არხს შეუმჩნევია ეს ფაქტი. მათი რეაგირების მერე კი, ჩემს ტელეფონზე ზარი არ გაჩერებულა. ეს იმას ნიშნავს, რომ დიოფიურების რეჟიმში ვართ.

ჩემი პოზიცია ასეთია - ეს არის ადამიანების პრობლემის მიმართ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების დამოკიდებულების დემონსტრაცია. მე თუ ასეთი დაუცველი ვარ, წარმოიდგინეთ, როგორი დაუცველია ჩვეულებრივი გამეღვლი. ეს იყო პოლიტიკური პროვოკაცია. კარგად ჩანს, რომ ეს ადამიანი, მისი ორივე შვილი, სიძე არიან ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების დასაყრდენი. თავისი რეაქციით მათ ჩემი სათქმელი თქვეს.

პატიმრობის კოდექსის პროექტის განხილვის პროცედურა გრძელდება

პარლამენტში პატიმრობის კოდექსის პროექტის განხილვის პროცედურა გრძელდება.

პროექტის განხილვა ჯერ მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში მიმდინარეობს.

პატიმრობის კოდექსიის ინიცირება ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში მოხდა. კოდექსი რამდენიმე ნოვაციით გამოირჩევა, რომელთა შორის აღსანიშნავია ე.წ. ღია ტიპის საპატიმროების ამოქმედება. პატიმრობის კოდექსის პროექტი ასევე ითვალისწინებს გრძელვადიანი პაემნების დაწესებას და მსჯავრდებულებთან მიმართებაში მთელი რიგი ლიბერალური ნორმების შემოღებას. ამ კონტექსტში აღსანიშნავია კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც დიმიტრი შაშკინმა პარლამენტში გააჟღერა. შაშკინი გამოდის წინადადებით, საქართველოში პატიმრების შვებულებაში გაშვების წესი ამოქმედდეს.

პირველი

გათავისუფლება გირაოს სანაცვლოდ

თბილისის სასამართლომ შპიონაჟის ბრალდებით დაკავებული გრიგორ მინასიანი და სერგეი აკოფჯანიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. საქართველოში სომხური დიასპორის წარმომადგენლები ერთწლიანი პირობითი სასჯელისა და 2 ათასი ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. მინასიანი და აკოფჯანიანი ქართველმა სამართალდამცველებმა 2 ინვარს შპიონაჟისა და შეიარაღებული ბანდფორმირებების შექმნის ბრალდებით დააკავეს. სომეხი მოქალაქეების დაკავების ფაქტმა პროტესტი გამოიწვია, როგორც საქართველოში სომხურ დიასპორაში, ასევე სომხეთშიც. გრიგორ მინასიანი ახალციხეში სომხურ ახალგაზრდულ ცენტრს ხელმძღვანელობს, სერგეი აკოფჯანიანი კი - ორგანიზაცია "შარლ აზნავურს". მათ დაკავებასთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ, თავის დროზე სპეციალური განმარტება გააკეთა. "დაკავებულების უფლებები სრულად არის დაცული და მათ დასაცავად, ადვოკატები პროცესში სრულყოფილებიან მონაწილეობას იღებენ. ყველაფერი ისე გადაწყდება, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოს შეგუენის. მათ ადგილზე ქართველები, კენიელები ან ტანზანიელები რომ ყოფილიყვნენ, მათაც დააკავებდნენ," - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

პირველი

მოსამართლეობის უფლების მოპოვება რთულდება

მოსამართლეობის უფლების მოპოვება რთულდება. მოსამართლეობის მსურველებს საკვალიფიკაციო ტესტირების გარდა, იუსტიციის უმაღლესი 2-წლიანი სკოლის სრული კურსის გავლა მოუწევთ. აღნიშნული ინიციატივის მთავარ მიზნად პარლამენტში სასამართლო სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას ასახელებენ.

ცვლილება, რომელიც "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში შედის, დეპუტატებმა მურთაზ ზოდელავამ, ჩიორა თაქთაქიშვილმა და აკაკი მინაშვილმა მოამზადეს. მოქმედი კანონმდებლობით, მოსამართლედ შეიძლება, დაინიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა, 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. წარმოდგენილი კანონპროექტით კი, აღნიშნულ მოთხოვნებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსის გავლაც ემატება. იუსტიციის უმაღლესი სკოლის გავლა სავალდებულო არ იქნება ყოფილი მოსამართლეობისთვის, რომელთაც ჩაბარებული აქვთ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა და მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 18-თვიანი გამოცდილება აქვთ. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი სკოლის გავლის ვალდებულება არ შეეხებათ საკანსტიტუციო სასამართლოს როგორც მოქმედ, ასევე ყოფილ წევრებს.

პირველი

4 შვილის დედამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

ტრაგიკული შემთხვევა მოხდა გუშინწინ, გვიან ღამით გლდანის მე-8 მიკრორაიონში. ოთხი შვილის დედამ ზინა ბირკაიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ის მეშვიდე სართულიდან გადმოხტა.

თვითმკვლელობის ზუსტი მიზეზი ამ დრომე უცნობია.

ბირკაია საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობის მუხლით აღიძრა.

პირველი

ინფორმაცია არასწორი აღმოჩნდა



ლორთქიფანიძის ინფორმაცია არასწორი აღმოჩნდა.

ბაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, ლორთქიფანიძის ინფორმაცია სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ოპერატიულად გადაამოწმა და იგი არასწორი აღმოჩნდა.

"ეს ინფორმაცია არასწორია. მსგავსი გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების-

გან ყველამ თავი უნდა შეიკავოს, რადგან მსჯავრდებულებს ჰყავთ ნათესავები და ახლობლები, რომლებზეც მსგავსი ინფორმაციები უარყოფითად მოქმედებს. დიმიტრი ლორთქიფანიძეს შეუძლია მიზრძანდეს რუსთავის სასჯელაღსრულების 1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, შეხვდეს მსჯავრდებულებს და გაესაუბროს მათ. ამის საშუალება მას ახლაც ჰქონდა და ასე რომ მოქ-

პასუხი დეპუტატს

რომ გიორგი გოგიტიძეს, რომელიც ქურდობაში იყო ბრალდებული, ექვსი წლით პატიმრობა სრულიად წინააღმდეგობრივ ჩვენებებზე დაყრდნობით მიესაჯა.

საქმეში არსებული შეუსაბამოების გარკვევისთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოში დადგა შუამდგომლობა დამატებითი მონებების დაკითხვის თაობაზე, ასევე, შემთხვევის ადგილზე მყოფი ე.წ. დაზარალებულისა და მისი 10 და 12 წლის შვილების ფსიქოლოგის თანდასწრებით დაკითხვის თაობაზე, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მანანა ჩოხელმა დაცვის მხარის ეს შუამდგომლობა უმოტივოდ არ დააკმაყოფილა. აცხადებს ნიკა ლალიაშვილი.

პარლამენტის კანცელარიაში უკვე დევს დოკუმენტი, რომლითაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრი ნიკა ლალიაშვილი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში ცვლილების შეტანას მოითხოვს. საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორი კანონის ისეთი რედაქციით ჩამოყალიბებას მოითხოვს, რომლის მიხედვითაც, სადისციპლინო პალატა და კოლეგია ვალდებული იქნებიან, მოსამართლეზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ინფორმაცია საჯარო გახდეს.

ნიკა ლალიაშვილის განცხადებაზე კომენტარი გააკეთა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მემვილმა.

მისი განცხადებით, კონკრეტულ საქმეზე, როგორც პირველი, ასევე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა მიიღეს იდენტური და კანონიერი გადაწყვეტილება.

საქმის განხილვის საწყის ეტაპზე მსჯავრდებულს ბრალი ედებოდა კანონით დასჯადი ისეთი დანაშაულის ჩადენაში, როგორიცაა ქურდობა იმ პირის მიერ, რომელიც მანამდე ორჯერ და მეტჯერ არის ნასამართლევი იგივე დანაშაულის ჩადენაში. ამასთან, მას ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 363-ე მუხლის მეორე ნაწილით (დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება) გათვალისწინებულ დანაშაულშიც, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლომ განსაზღვრა ამ ნაწილში უდანაშაულოდ ცნო.

რაც შეეხება ქურდობის ბრალდებას. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა მსჯავრდებულის მიერ ამ დანაშაულის ჩადენა და მას მინიმალურთან მიახლოებული სასჯელი - 6 წელი და 6 თვე მიუსაჯა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა, რაზეც მხარემ უზენაეს სასამართლოში შემოტანა საკასაციო საჩივარი. უზენაესმა სასამართლომ დეტალურად გამოიკვლია საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები და უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, ბატონ დავით სულაქველიძის თავმჯდომარეობით, ჩათვალა, რომ კონკრეტულ საქმეში არ იყოს ისეთი დარღვევები, რომელიც გამო-

ცუელიყო, გადაუმოწმებელ, აბსურდულ ინფორმაციას არ გაავრცელებდა, ნახავდა, რომ კარცერში არავინ იმყოფება, განაცხადა სალომე მახარაძემ, რომლის თქმითაც, პატიმრები მუშაობით მართლაც მუშაობენ, ოღონდაც, სამეურნეო ნაწილში არიან დასაქმებულნი და დაკავებული არიან მხოლოდ დასუფთავებითა და პატიმრებთან საკვების მიტანით - მათ მუშაობას არავინ აძლევს.

პატიმრები დასაქმებული არიან, ოღონდაც, არა მშენებლობაზე, ან სადმე სხვაგან, როგორც ეს ლორთქიფანიძემ განაცხადა. პატიმრები სამეურნეო ნაწილში არიან დასაქმებული, რაზეც პატიმართა დიდი მოთხოვნაა, რადგან იქ დასაქმებული პატიმრები კარგი ქცევისთვის ადმინისტრაციის მადლობას იმსახურებენ. დიმიტრი ლორთქიფანიძემ თუ ამის შესახებ არაფერი იცის, შეეძლო გადაემოწმებინა და აღარ გაავრცელებდა არასწორ ინფორმაციას, განაცხადა სალომე მახარაძემ, რომლის თქმითაც, დიმიტრი ლორთქიფანიძეს ნებისმიერ დროს შეუძლია საპატიმროში შესვლა, რადგან მას ამის მანდატი აქვს.

საკუთარი ინფორმაცია

ინვევდა საკასაციო საჩივრის განხილვის დასაშვებად მიჩნე-
ვას. 2008 წლის 20 ნოემბრის გა-
დაწყვეტილებით, აღნიშნული
საჩივარი არ იქნა განსახილვე-
ლად დაშვებული, განაცხადა
ზაზა მემვილმა.

ნიკა ლალიაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება გააკეთა, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ

საქმის სრულყოფილ გამოკვლევაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ სასამართლომ ჩაატარა ცხრა სხდომა და მოსამართლომ საკუთარი ინიციატივით დაკითხა საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა მოწმე. სასამართლომ არ გაიზიარა ალიბის მოწმეთა ჩვენებები, ვინაიდან ეს ჩვენებები შეიცავდა არსებით წინააღმდეგობებს, რის გამოც სასამართლომ ეჭვი შეიტანა მათ სისწორეში და არასაწმუნოდ მიიჩნია.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილების დაკითხვის თაობაზე, ვინაიდან დაცვის მხარეს ეს შუამდგომლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში არ დაუყენებია. ამასთან, კანონმდებლობის თანახმად, მოწმე სააპელაციო ინსტანციაში შეიძლება დაკითხოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი მიუთითებს ახალი არსებითი გარემოების თაობაზე, რომელიც უცნობი იყო პირველი ინსტანციისათვის, განაცხადა ვალერი ცერცვაძემ.

საკუთარი ინფორმაცია

გაზი, კრედიტები და უკრაინა



პრემიერმა ტიმოშენკომ იუშენკოს მოქმედება ლამის რუსეთთან ძლივს მიღწეული შეთანხმების ჩაშლის მცდელობად შეაფასა

ივა პილაკაძე

უკრაინა აქტიურად ეძებს მწვავე ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზებს. მას, პირველ რიგში, ბიუჯეტის დასაბალანსებლად თავისუფალი ფინანსური სახსრები ესაჭიროება, რისი მიღებაც გლობალური კრიზისის პირობებში არც ისე ადვილია. ამას თან ერთვის საკმაოდ რთული შიდა პოლიტიკური მდგომარეობა. პრეზიდენტიც, პრემიერიც და, ასე განსაზღვრულ, ოპოზიციაც ამ ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისას მნიშვნელოვანწილად საკუთარ პოლიტიკურ თუ ფინანსურ ინტერესს ითვალისწინებს.

კრედიტის მიღების ძირითად იმედს უკრაინა საერთაშორისო სავალუტო ფონდზე ამყარებდა. პირველი ნაწილიც უკვე მიღებულიც იყო და თებერვალ-მარტში ხელისუფლება უკვე მეორე ტრანშს ელოდებოდა. თუმცა უკვე იანვარში, სავალუტო ფონდის მისიის ჩასვლისთანავე, გაირკვა, რომ უკრაინის ხელისუფლების მიერ პირობების შეუსრულებლობის გამო, ტრანშის ჩარიცხვა სათუო იყო. თითქმის ერთდროულად მოლაპარაკებების შემდეგ, მისია ქვეყნიდან პასუხის გარეშე გაემგზავრა. პარალელურად უკრაინამ ფულის ძებნა სხვა ქვეყნებშიც დაიწყო. დაახლოებით, ერთი თვის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინა მზად არის, რუსეთისაგან 5-მილიარდიანი კრედიტი აიღოს, ცხადია ისეთი მძიმე ეკონომიკური (თუ პოლიტიკური პირობებით), რაც ლამის "ეროვნულ ღალატს" უდრიდა. ამან დასავლეთის პრესაშიც კი გამოიწვია არაერთგვაროვანი რეაქცია, თუმცა ამ კრედიტის თაობაზე მოლაპარაკებები აღარ გაგრძელებულა. უკრაინულ მედიაში გამოითქვა აზრი,

რომ ეს ხმაური უკრაინის ხელი-სუფლებას, ძირითადად, საერთაშორისო სავალუტო ფონდზე ზენოლისათვის სჭირდებოდა. ადრე ასეთი მეთოდები უკრაინის პოლიტიკურმა ლიდერებმა წარმატებით გამოიყენეს შიდა პროცესებში. ბოლოს, თითქმის ერთდროულად "ჯახირისა" და ურთიერთბრალდებების შემდეგ, პრეზიდენტმა იუშენკომ და პრემიერმა ტიმოშენკომ ხელი მოაწერეს საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი ახალ მიმართვას, რომლის მიხედვითაც უკრაინა კისრულობს ძალიან მძიმე ვალდებულებებს 90-იანი წლების "შოკური თერაპიის" სტილში (საბინაო-კომუნალურ შეღავათებზე, მოსახლეობისათვის გაზის გადასახადის დოტაციაზე, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის ემისიის საშუალებით დაბალანსებაზე უარის თქმა...).

ასეთ მიმართვაზე ხელის მოწერა, უფრო სწორად, მისი შედეგები, ძალიან საშიშია ერთი წლის შემდეგ დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების (და შესაძლოა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების) წინ იულია ტიმოშენკოს მერყევი რეიტინგისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ პრეზიდენტ იუშენკოს ისედაც დაბალ რეიტინგზე. უკრაინულ პრესაში არის ასეთი აზრიც, რომ დასავლელი კრედიტორების სიმკაცრის ერთ-ერთი პოლიტიკური მიზეზი სწორედ მოქმედი ხელისუფლების რეიტინგის დაცემაა, რომლის შედეგადაც უკრაინაში პირველი როლები შეიძლება უკვე სხვებს ერგოთ, მაგალითად არსენ იაცენიუკს ან ანატოლი ფრიცენკოს. თუმცა სავალუტო ფონდი პირდაპირ ასეთ პროცესებში არასდროს ერევა, ისინი მხოლოდ რეალურად არსებულ ეკონომიკურ პრობლემებზე ამახვილებენ ყურადღებას.

სავალუტო ფონდის გარდა, უკრაინამ კრედიტი შეიძლება საფრანგეთიდანაც მიიღოს. წინა კვირას საფრანგეთში ვიზი-

ტის დროს, ამ საკითხში პრინციპულ შეთანხმებას თითქმის მიიღწია უკრაინის პრემიერმა, შესატანხმებელია დეტალები. საფრანგეთი მაინც დაელოდება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან უკრაინის ურთიერთობის მონესრიგებას, რაც კატალიზატორის როლს შეასრულებს როგორც საფრანგეთის, ასევე სხვა ინვესტორებისათვის. საინტერესოა რუსეთის პოზიცია ამ კრედიტებთან მიმართებაში. დასავლეთის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ის, ფაქტობრივად, აჰყვამს უკრაინას "თამაშში". ამას გარდა, დამატებით მედვედევმა "დიდსულოვნად" მოუწონდა დასავლეთის უკრაინის დახმარებისკენ, "გაზპრომმა" კი ასევე "დიდსულოვნად" გადაწყვიტა, არ დაარიცხოს ჯარიმები უკრაინას გადახდის ვადების გადაცილებისთვის, შარშან კი "გაზპრომი" ლამის ყოველი დღის გადაცდომას აღრიცხავდა. საქმე ის არის, რომ უკრაინის, ასევე უნგრეთის ან ბალტიის ქვეყნების დეფოლტი ავტომატურად გამოიწვევს "გაზპრომის" ფაქტობრივ გაკოტრებას, რაც რუსეთის ისედაც საეჭვო სტაბილურობას დიდ საფრთხეს შეუქმნის.

უფრო ჩახლართულია გაზთან დაკავშირებული საკითხები, რაც ბოლო დღეებში არა მარტო უკრაინული, არამედ საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. მსოფლიოს პრესა რუსეთ-უკრაინის ახალ გაზის სკანდალს არ გამოირიცხავს, თუმცა, სავარაუდოდ, ეს პროცესები, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, ძირითადად უკრაინის შიდა დაპირისპირების შედეგია. წინა კვირაში უკრაინის უშიშროების სამსახურმა, რომელიც პრეზიდენტ იუშენკოს უშუალო დაქვემდებარებაშია, "უკრაინის ნავთობგაზის" წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინიდან ძალის გამოყენებით ამოიღო

"გაზპრომთან" გაფორმებული ხელშეკრულების ორიგინალი. პრემიერმა ტიმოშენკომ ეს მოქმედება ლამის რუსეთთან ძლივს მიღწეული შეთანხმების ჩაშლის მცდელობად შეაფასა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ წლის დასაწყისში მიღწეული შეთანხმების თანახმად, რუსეთის და უკრაინის პრემიერებმა უკრაინისთვის გაზის მიწოდების სქემიდან ამოაგდეს კომპანია "როს-უკრ-ენერგო" რომელიც რამდენიმე წლის წინ ორმა ქვეყანამ ამ მიზნით შექმნა. მასვე, უკრაინის "ნავთობგაზის" სასარგებლოდ, ჩამოერთვა გაზის მარაგი - 11 მილიარდი კუბომეტრი, რომლის ვალიც რუსეთისთვის გადახდილი არ ჰქონდა (ვალი "ნავთობგაზს" გადაენერა). საქმე ის არის, რომ ამ დაპირისპირებაში პრეზიდენტი იცავს ფორმალურ კანონს და საკუთარი პროტექტს - "როს-უკრ-ენერგოს" ხელმძღვანელ დიმიტრი ფირტაშის ინტერესებს. ეს უკანასკნელი იუშენკოს პოლიტიკური საქმიანობის მთავარ დამფინანსებლად მიიჩნევა. ასევე კარგი ურთიერთობები აქვს ვიქტორ იანუკოვიჩთან და არსენი იაცენიუკთან. იულია ტიმოშენკო კი, ერთი შეხედვით, "ნავთობგაზთან" ერთად იცავს სახელმწიფოს და, ამასთან ერთად, მომხმარებლების (მოსახლეობის) ინტერესებს - ის ძველი მონოდებული 11 მილიარდი კუბომეტრი გაზი 75 დოლარით იაფია. ეს მარაგი უკრაინას საშუალებას მისცემს, გარკვეულ ხანს შეინარჩუნოს დაბალი ფასი გაზზე. აშკარაა ტიმოშენკოს პოლიტიკური ინტერესი - გამარჯვების შემთხვევაში ის სამ სავარაუდო კონკურენტს, ფაქტობრივად, ხელიდან აცლის დაფინანსების სოლიდურ წყაროს. როგორც ჩანს, ეს დაპირისპირება მალე და დევილად არ დამთავრდება. უკან დახევას ჯერჯერობით არავინ აპირებს.

აფეთქებები ბაღდადში

ბაღდადის დასავლეთ ნაწილში თვითმკვლელი-ტერორისტის მიერ ბაზარში განხორციელებულ ტერაქტს 28 ადამიანი შეენირა, ხოლო 28 დაიჭრა. დაღუპულთა შორისაა ადგილობრივი არმიის ქვედანაყოფის ხელმძღვანელი. უსაფრთხოების ძალთა წარმომადგენლების თქმით, თავდასხმა აბუ-გრების რაიონში მოხდა იმ დროს, როცა მაღალჩინოსანთა ჯგუფი, რომელთა შორისაც სამხედრო პირებიც იმყოფებოდნენ, შენობას ტოვებდნენ, სადაც ნაციონალური შერიგების შესახებ კონფერენცია ჩატარდა. სტატისტიკურად, ერაყში ძალადობის დონის მაჩვენებელი ბოლო ხანს მკვეთრად შემცირდა, მაგრამ უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ზედიზედ რამდენიმე თავდასხმა განხორციელდა. კვირას პოლიციაში მუშაობის მსურველთა შერჩევისას აფეთქება მოხდა, რასაც 28 ადამიანი ემსხვერპლა. გახშირებული თავდასხმების გამო ერაყის შეიარაღებული ძალებმა "ალ ქაიდას" წევრების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ოპერაციები დაიწყეს. ერაყელ გენერალ ოსმან ალ-ჰანემის თქმით, ოპერაციების ძირითადი არეალი ბაბილის, ედ-დივანის, ენ-ნაჯაფისა და ქერბალას რაიონებია.

ბი-ბი-სი

დმიტრი მედვედევისა და ბარაკ ობამას შეხვედრა 1 აპრილს

ლონდონში გაიმართება

რუსეთისა და აშშ-ს პრეზიდენტების დმიტრი მედვედევისა და ბარაკ ობამას შეხვედრა 1 აპრილს ლონდონში გაიმართება. ამის შესახებ მედვედევმა აშშ-ს რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკის ორპარტიული დამოუკიდებელი კომისიის წევრებთან შეხვედრაზე განაცხადა. მისი თქმით, იგი ამერიკელ კოლეგასთან მასობრივ განადგურების იარაღის გაუზრცელებლობის, ტერორიზმთან და გლობალურ ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის საკითხებს განიხილავს. ამასთან, რუსეთის პრეზიდენტის შეფასებით, აშშ-ს პრეზიდენტისგან წამოსული სიგნალები პოზიტიურია.

პირველი

ბაშკირეთის პრეზიდენტი მურთაზ რახიმოვი თანამდებობის დატოვებას არ აპირებს

გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ბაშკირეთის პრეზიდენტი მურთაზ რახიმოვი თანამდებობიდან გადადგა, სიმართლეს არ შეესაბამება. "რესპუბლიკის პირველი პირი ბაშკირეთს 2011 წლამდე უხელმძღვანელებს, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე," - აცხადებს რახიმოვის პრეს-სამსახურის უფროსი აირატ მურზაგალები. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბაშკირეთის პრეზიდენტი კვირის ბოლომდე პოსტს დატოვებდა, მის შემცველად კი პეტერბურგის ადმინისტრაციის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარე იუნის ლუკმანოვსა და ბაშკირეთის პარლამენტის წევრ რუდიკ ისკუტინს ასახელებდნენ. "ხელისუფლების შეცვლა საცვლელად ბაშკირეთს არანაირი მიზეზი არა აქვს, ფინანსური კრიზისის პირობებში ქვეყანაში შენარჩუნებულია ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა," - განაცხადა პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა.

მედიანუსი

შპს სოკარ ჯორჯია გაზი-ს კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ბატონ კახა დამენიას დედის

გილანა არაჩეიას

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: ხუთშაბათი-პარასკევი, 17 სთ. დაკრძალვა: შაბათი, 15 სთ. მის. ქ. თბილისი, ს. ლოდაშვილის ქ. N20ა.

შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი-ს კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ბატონ კახა დამენიას დედის

გილანა არაჩეიას

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: ხუთშაბათი-პარასკევი, 17 სთ. დაკრძალვა: შაბათი, 15 სთ. მის. ქ. თბილისი, ს. ლოდაშვილის ქ. N20ა.

შპს სოკარ ენერჯი ჯორჯია-ს კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ბატონ კახა დამენიას დედის

გილანა არაჩეიას

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: ხუთშაბათი-პარასკევი, 17 სთ. დაკრძალვა: შაბათი, 15 სთ. მის. ქ. თბილისი, ს. ლოდაშვილის ქ. N20ა.

თურქეთ-ამერიკის შეთანხმებული მოქმედება თეირანთან

სათუნა გახივი

ირანული საინფორმაციო სააგენტო "ფარსის" თანახმად, 10 თებერვალს თეირანში თურქეთის პრეზიდენტ აბდულა გიულის ვიზიტი დაიწყო. ვიზიტის მიზანია მაჰმუდ აჰმადინეჯადისთვის ოფიციალური ვაშინგტონის გზავნილის მიწოდება.

მართალია, გზავნილის შინაარსი დეტალურად ცნობილი არ არის, მაგრამ ისლამური რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტოსთვის ის ფაქტიც მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე დღის წინ ანკარაში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი იმყოფებოდა. მისი და თურქეთის ოფიციალურ პირთა მოლაპარაკებების მთავარი თემა ამერიკა-ირანის დიალოგის წამოსაწყებად თურქეთის შუამავლობა იყო.

ოფიციალურად კი თურქეთის პრეზიდენტი თეირანში ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა.

8 მარტს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი ბაზაჯანმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ყველაფერს გააკეთებს ოფიციალური ვაშინგტონისა და თეირანის ურთიერთობების დასარეგულირებლად. მისი თქმით, თურქეთი შეერთებული შტატების სტრატეგიული მოკავშირე და იმედგეროულად ირანის მეზობელი და მეგობარი ქვეყანაა, ამიტომ სასეხებით ცხადია, რომ შეუძლია შუამავლის მისიის შესრულება.

ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობების წარმომადგენელთა შეხვედრა თეირანში დღეს დაიწყო. სამშაბათს კი ალიანსის წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქ-



ალი ბაზაჯანი ირანსა და აშშ-ს შორის შუამავლობისთვის მზადაა.

მეთა მინისტრების შეხვედრა მხოლოდ იმისთვის შედგა, რომ სამიტის დღის წესრიგი შეეთანხმებინათ.

აღნიშნული სახელმწიფოთაშორისი რეგიონული ორგანიზაცია 1992 წელს შეიქმნა. თავდაპირველად სამხმრივ ეკონომიკურ ალიანსს (ირანი-პაკისტანი-თურქეთი) კიდევ ექვსი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა - აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი დაემატა, მოგვიანებით კი ორგანიზაციას მეთათე წევრის სტატუსით ავღანეთიც შეუერთდა.

ორი ქვეყნის ურთიერთობების აღ-

სადგენად თურქეთის შუამავლობით დაწყებული მოლაპარაკებების პარალელურად, ურიგო არ იქნებოდა ოფიციალური თეირანის ერთი, არცთუ ისე ლოიალური განცხადების განხილვაც. ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადის განცხადებით, პირველი ირანული ნაციონალური თანამგზავრის "ომიდის" ("იმედი") გაშვების შეფერხება საგარეო ძალების "მტრული მოქმედებების" გამო მოხდა. მისი აზრით, ზოგიერთი "მტრული სახელმწიფოს" უპილოტო საფრენმა აპარატებმა სასტარტო მოედანს მიაღწიეს და კავშირის

სისტემა დააზიანეს, რის გამოც ინჟინრები იძულებულნი გახდნენ, გაშვების სათანადოგო სისტემა გამოეყენებინათ.

"მტრული ძალის უპილოტო საფრენი აპარატები ძალიან დიდ სიმაღლეზე დაფრინავდნენ და იყენებდნენ რთულ ელექტრომონოზილობას, რათა მწყობრიდან გამოეყვანათ ირანული თანამგზავრის გაშვების სისტემა," - აღნიშნა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა.

მისი თქმით, გადანეყვტილება "მტრული უპილოტო საფრენი აპარატების" განადგურების შესახებ მოგვი-

ანებით გადაიხედა. თუ რა მიზეზით არ მიიტანეს ირანის სამხედრო-საჰაერო ძალებმა იერიში უპილოტო საფრენ აპარატებზე, უცნობია, რადგან ამის დაკონკრეტებისგან პრეზიდენტმა თავი შეიკავა.

ისრაელის მასმედიის თანახმად, ოფიციალური თეირანის "საეჭო სახელმწიფოთა სიაში პირველი ადგილი" სწორედ ოფიციალურ თელ-ავივს უკავია. ისრაელის გაზეთი "ჰარეცი" ეჭვებს ირანის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო "ირნაზე" დაყრდნობით გამოთქვამს.

პირველი ირანული თანამგზავრის გაყვანა ორბიტაზე 2009 წლის 3 თებერვალს მოხდა. "ჰარეცის" თანახმად, ოფიციალური თეირანი "ომიდის" გაშვებას 20 იანვარს შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს გეგმავდა, მაგრამ მისი გაშვება რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო გადაიდო. ისლამური რესპუბლიკის ოფიციალურ პირთა განცხადებით, თანამგზავრი მხოლოდ სამშვიდობო მიზნებით იყო შექმნილი.

"ჰარეცის" თანახმად, რომელიც ირანის საკითხებში მეირა ჯაბანდაფარას სიტყვებს ეყრდნობა, "მტრული ძალების ძიებები" შეიძლება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მაჰმუდ აჰმადინეჯადის სარეკლამო კამპანიის ძირითად "ინსტრუმენტად" იქცეს. საპრეზიდენტო არჩევნები ირანში მიმდინარე წლის ზაფხულისთვის არის დაგეგმილი.

ამასთან, ექსპერტთა თქმით, ისრაელის უპილოტო საფრენი აპარატები ირანის საჰაერო სივრცეში მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჩნდებოდნენ, თუ მათ ერაყის ტერიტორიაზე მყოფი ამერიკელი სამხედროები გამოიყენებდნენ.

გუანტანამოს ხუთმა პატიმარმა 11 საქმეზრის ტერაქტების ორგანიზებაში მონაწილეობა აღიარა

მარიკა იახვილი

"გუანტანამოს ხუთმა პატიმარმა, რომელთაც 11 სექტემბრის ტერაქტების ორგანიზება ედებათ ბრალად, დანაშაული ოფიციალურად აღიარა და განაცხადა, რომ ჩადენილი საქციელით ამაყობენ," - წერს გაზეთი "ნიუ-იორკ თაიმსი."

ტერორისტთა განცხადებები თავმოყრილია დოკუმენტში, რომლის სახელწოდებაა "მუსლიმანთა პასუხი მთავრობის ცხრა ბრალდებაზე". დოკუმენტი ბრალდებულებმა 5 მარტს გადასაცეს აშშ-ს სამხედრო კომისიას, რომე-

ლიც 11 სექტემბრის საქმეს იძიებს. საბუთში ნათქვამია, რომ ხუთი პატიმარი ტერაქტის ორგანიზებაში უშუალოდ მონაწილეობდა და ეს ალაჰისთვის მიტანილი მსხვერპლი იყო.

"ჩვენთვის ეს ბრალდებები არ არის, ჩვენთვის ეს პატივია, რომელსაც სიამაყით ვიღებთ," - ნათქვამია პატიმართა განცხადებაში.

გაზეთი წერს, რომ ასეთი განცხადების გაკეთების სტრატეგიული მიზანი ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება და პატიმრებს სურთ, თავიანთი ინტერესები სასამართლოზე თავადვე დაიცვან.

მათ შორის, ვინც დანაშაული აღიარა, ერთ-ერთი შეიხი მუჰამედი, რო-

მელსაც თანამაზრებთან ერთად ტერაქტის ორგანიზებაში ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. თუმცა თავად ბრალდებულები ტერაქტს, რომელსაც 2001 წელს სამი ათასი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მონაწილეობრივ სიკვდილის აქტად განიხილვენ.

2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტების მიერ გატაცებული ორი სამგზავრო თვითმფრინავი მსოფლიო საავაქრო ორგანიზაციის ტყუპ ცატამბჯენებს შეეჯახა, რის შედეგადაც ორივე მთლიანად დაინგრა. კიდევ ერთი შეჯახება ვაშინგტონში, თავდაცვის სამინისტროს შენობის დასავლეთ ფრთაზე მოხდა. ტერორისტების მიერ გატაცე-

ბული მესამე სამგზავრო ლაინერი პენსილვანიის შტატში, ქალაქ პითსბურგთან ჩამოვარდა. ოფიციალური მონაცემებით ნიუ-იორკში 2749 ადამიანი დაიღუპა, ვაშინგტონში - 189, ხოლო პენსილვანიაში - 44.

გუანტანამოს ბაზაზე ციხე 2001 წელს, 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, საგანგებოდ ტერორიზმში ეჭვმიტანილთა მოსათავსებლად შეიქმნა.

ადამიანის უფლებათა ამერიკელი და უცხოელი დამცველები ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას გუანტანამოს პატიმრებთან მიმართებით ადამიანის უფლებების დარღვევაში, მათ შორის წამებსა და მორალურ და ფიზიკურ დამცირება-

ში, აგრეთვე რელიგიურ ფასეულობათა შეურაცხყოფაში და ყოველგვარი ბრალის წაყენების გარეშე ადამიანების დაკავებაში ხშირად ადანაშაულებდნენ.

2002 წლიდან გუანტანამოდან 520 დაკავებული გაათავისუფლეს. ამ დროისათვის ციხეში კიდევ 250 პატიმარი იმყოფება, რომელთაგან სამოცი გათავისუფლებაზე პენტაგონი თანახმაა. ამერიკის თავდაცვის მინისტრი ვარაუდობს, რომ 2002 წელს გათავისუფლებულ პატიმართაგან სამოცი კვლავ ტერორისტულ საქმიანობას დაუბრუნდა.

გუანტანამოს ციხის დახურვა ბარაკ ობამას ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო.

პალესტინელები მოლაპარაკებებს იწყებენ

მარიკა იახვილი

პალესტინაში ფრაქციათაშორის უთანხმოებებს შესაძლოა ბოლო მოეღოს. შეძლებენ თუ არა "ჰამასი" და "ფათხი" ხანგრძლივი განხეთქილების შემდეგ დაზავებას? - პალესტინური ფრაქციების ლიდერები მოლაპარაკებათა დასაწყებად კაიროში ჩადიან. ეგვიპტის დედაქალაქში განხილვის მთავრი თემა ერთობლივი ხელი-სუფლების ჩამოყალიბება იქნება, თუმცა პარტიათაშორისმა კომიტეტებმა უკვე სხვა საკვანძო საკითხების შემუშავებაზეც დაიწყეს ზრუნვა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული უსაფრთხოების საკითხები და პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციაა.

ორ მთავარ პოლიტიკურ ჯგუფს -

"ფათხსა" და "ჰამასს" შორის არსებული მუდმივი დაპირისპირება შიდა პოლიტიკურ ვითარებას უკიდურესად ამძიმებს და ისრაელის საჰაერო დარტყმების შედეგად განადგურებულ ლაზას სექტორის აღდგენას თითქმის შეუძლებელს ხდის. მიუხედავად დონორი ორგანიზაციების მზადყოფნისა ლაზას რეაბილიტაციისთვის მილიარდობით დოლარი გამოყონ, მათ უშუალოდ "ჰამასთან" საქმის დაჭერა არ სურთ, რადგან ეს ისლამისტური დაჯგუფება მთელს მსოფლიოში ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევა. ამავდროულად, სექტორში არსებული მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება, რადგან "ჰამასთან" ურთიერთობაზე არც ისრაელი თანახმა და ის სექტორის ბლო-

კირებას კვლავ აგრძელებს.

ერთობლივი მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ მოლაპარაკებათა დაწყების წინ პალესტინის ავტონომიის პრემიერ-მინისტრმა სალამ ფაიადმა თანამდებობა დატოვა.

მოლაპარაკებების წარმოების გამო, კონკურენტი პალესტინური პარტიების ლიდერები კაიროში ერთი თვის წინ შეიკრიბნენ და კონსოლიდაციის საკითხში ახალი ეტაპის დაწყების პირობა დადეს.

პირველი შეთანხმება ერთობლივი ხელისუფლების ჩამოყალიბების შესახებ მას შემდეგ ჩაიშალა, რაც ისრაელმა და მისმა საერთაშორისო მოკავშირეებმა უარი თქვეს "ჰამასთან" ოფიციალურ ურთიერთობაზე. ისლამისტური დაჯგუფება კი, თავის მხრივ, არ აღიარებს ისრაელს. ამას ემატება პარტიათაშორისი ომიც, რომელიც ლაზაში 2007 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც "ჰამასმა" სექტორიდან "ფათხი" ძალის გამოყენებით განდევნა და ხელისუფლება დაიკავა.

ხანგრძლივი დაძაბულობის ფონზე ორივე მხარეს პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებები და მოწინააღმდეგე ფრაქციის წევრთა წამება ედებოდა ბრალად. ასეთ ვითარებაში ეგვიპტემ პალესტინელებს მშვიდობიანი მოლაპარაკებების დაწყებისკენ 2008 წლის ნოემბერში კიდევ ერთხელ მოუწოდა. თუმცა "ჰამასმა" "ფათხი" დასავლეთ სანაპიროზე ისლამისტური ორგანიზაციის წევრთა დაპატიმრებაში დაადანაშაულა და მოლაპარაკებათა პროცესი დატოვა.

ისრაელის სამკვირიანი დარტყმების შემდეგ, რომლებიც 18 იანვარს დასრულდა, მხარეები კიდევ ერთხელ დადგნენ შეთანხმების მიღწევის აუცილებლობის წინაშე.

"ჰამასისა" და "ფათხის" შეხვედულებები, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ისრაელთან, ფუნდამენტურად განსხვავებულია. მაშინ, როდესაც "ფათხმა" ძალადობაზე უარი თქვა, "ჰამასი" ისრაელის აღიარებაზე უარს აცხადებს. ისლამისტური ორგანიზაცია მოწინააღმდეგესთან მოკლევადიან სამშვიდობო შეთანხმებაზე თანახმაა, თუმცა სურს საჭიროების შემთხვევაში ისრაელთან ომის განხლების უფლება დაიტოვოს.

რევიუ

ირანული კულტურის კვირეული დაიწყო

სოფო კილასონია

თურქი ნობელიანტი მწერალი ორჰან ფამუქი თავის ერთ-ერთ რომანში «თეთრი ციხე-სიმაგრე» ხან პირდაპირ და ხანაც ირიბად გვიმტკიცებს, რომ ვერ იარსებებს დასავლეთი აღმოსავლეთის გარეშე და პირიქით. რომ უერთმანეთოთ ერთიც და მეორეც წარმოუდგენელია. ფამუქს სიახლე არ უთქვამს. ნებისმიერმა, ვინც დასავლურ კულტურას მეტნაკლებად იცნობს, იცის, თუ რა როლი ენიჭებოდა აღმოსავლურ მოტივს, გამას და ხასიათს თუნდაც მხოლოდ ევროპელი მწერლებისა და მხატვრების მსოფლხედვაში. თუ რამდენი ევროპული კულტურული მოვლენის სათავეში ყოფილა აღმოსავლური სანყისი და რამდენ ხელოვანს უპოვნია გამოსავალი შორეულ აღმოსავლეთში. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ყველაზე დიდი ინტერესით დღეს აღმოსავლური კულტურის, განსაკუთრებით კი სახვითი ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის ნიმუშებს უმზერენ, თანამედროვე პოლიტიკა თითქმის ყველაფრის განმსაზღვრელია. ყველაფრის და თანაც ყველგან. მით უფრო ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც ერთადერთი გზა უკეთესი მომავლისკენ დასავლეთისკენ მიემართება, სადაც, აშშ-ს, იოლად რომ ვთქვათ, არც თუ საუკეთესო პრეზიდენტს პირდაპირი მნიშვნელობით თუ ვერა (ვერ მოვასწარი), გადატანითი მნიშვნელობით მაინც უდგამენ ძეგლს და სადაც ხან მეტად გართულებული საგარეო პოლიტიკითა და ხანაც გამწვავებული რუსული აგრესიით სამყაროსადმი გაუთვლილობიერებლად ცალსახა მზერა იოლი ასახსნელია. ასეთ დროს გამოფხზულებას ჰგავს ქართველი მწერლისთვის მინიჭებული ირანის სახელმწიფო პრემია ლიტერატურის დარგში, ანდა ირანული კულტურის დღეები თბილისში, რომლებშიც არაერთი ცნობილი ირანელი ხელოვანი მონაწილეობს. ჩემი სუბიექტური აზრით, პირველს, ანუ გიორგი ლობჯანიძისთვის მინიჭებულ პრემიას («წურანის» ქართულად თარგმანისთვის) მნიშვნელობით ბევრი სხვა მოვლენა ვერ შეედრება, თუმცა ირანული კულტურის დღეები თბილისში, რომელიც გუშინ, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დაიწყო, არ გახლავთ ერთი რიგითი ამბავი. ის რომ ეს დღეები მეტად საინტერესოა თუნდაც ჩვენი საზოგადოების გათვითცნობიერებისთვის, ბატონი გიორგი ლობჯანიძეც გვიდასტურებს და თემას საინტერესოდ ავითარებს, თუმცა, სანამ ქართველი მწერლისა და მთარგმნელის კომენტარებს წაიკითხავდეთ, ინფორმაციის სახით სხვა რამეც უნდა მოგახსენოთ.

სამხატვრო აკადემია ირანის საელჩოს უბრალოდ არ შეურჩევია. სასწავლებლის ისტორიულ შენობაში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დარბაზები ირანელმა ოსტატებმა მორთეს და ამ დარბაზების სახით, ყაჯარული ხელოვნების სხვა ამგვარი უნიკალური ნიმუშები საქართველოში არ გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ სამხატვრო აკადემიის ისტორიული შენობა სერიოზულ რეკონსტრუქციას და გამაგრებას საჭიროებს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებული ეს ნაგებობა გუშინ მდგრად უძლებდა ხალხმრავლობას. გალერეაში პარალელურად წარმოგვიდგინეს ირანული კერამიკა, ფერწერა, ახალი ლიტერატურული გამოცემები და ფოლკლორული მუსიკა. სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის ალბათ ყველაზე საინტერესო და



ნამოს ალინიშნოს ფოტო



ნამოს ალინიშნოს ფოტო

სახალისო ირანელ მეთუნეებთან მუშაობა გახლდათ. ისინი ერთობლივად ზედდნენ თიხას და ირანული კერამიკისთვის დამახასიათებელი ფორმებით «თამაშობდნენ».

სამხატვრო აკადემიაში თავი მოიყარა წარმომადგენლობითმა პოლიტიკურმა საზოგადოებამ. ხელოვნებასა და პოლიტიკოსებს თავდაპირველად **ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, ბატონი მოჯთაბა დამირჩი მიესალმა:**

«მადლობას გიხდით მოზრძანებისთვის, დღეს იხსნება ირანული კულტურის კვირეული საქართველოში, რომელიც ეძღვნება ირანის ისლამური რეჟიმისთვის გამარჯვების 30-ე წლისთავს. ირანის კულტურის კვირეულის გამართვა საქართველოში არის დადასტურება იმისა, რომ ირანის ხალხი და ხელისუფლება დაინტერესებულია გააღრმავოს ურთიერთობა საქართველოსთან, განსაკუთრებით კულტურის სფეროში. კვირეული არის საუკეთესო მომენტი იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობა გაეცნოს ირანელ კულტურას და ასევე ირანელი ხელოვანები გაეცნონ ქართველებს და საქართველოს. მადლობა ყველას, ვინც დაგვეხმარა და გვერდში დაგვიდგა ამ ღონისძიებებისთვის მზადების პროცესში. ასევე მადლობას მოვასხენებ ირანელ ხელოვანებს, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოში, რათა საუკეთესოდ წარმოაჩინონ ჩვენი ქვეყნის კულტურა.»

ელჩს გამოეხმაურა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე გიორგი ჩალაძე: «მინდა მივესალმო ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩს და დიდი მადლობა მოვახსენო მას ამ კვირეულისთვის. ისეთი კულტურის მატარებელი ქვეყნების მეგობრობა, როგორებიცაა საქართველო და ირანი ძალიან მნიშვნელოვანია. მივესალმებით ელჩის შემოთავაზებას კულტურის სფეროში ურთიერთობების გაღრმავების შესახებ და ვეთანხმებით, რომ ჩვენი ურთიერთობა უფრო აქტიურ ფაზაში უნდა გადავიდეს...»

სანამ პროცესები აქტიურ ფაზაში გადავა და სანამ მივალთ დასკვნამდე, რომ საქართველო აღმოსავლეთისგან იზოლირებული ვერასდროს გახდება, თუნდაც მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობის გამო, სანამ ჩვენში დასახლებულია გააღრმავოს ურთიერთობა საქართველოსთან, განსაკუთრებით კულტურის სფეროში. კვირეული არის საუკეთესო მომენტი იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობა გაეცნოს ირანელ კულტურას და ასევე ირანელი ხელოვანები გაეცნონ ქართველებს და საქართველოს. მადლობა ყველას, ვინც დაგვეხმარა და გვერდში დაგვიდგა ამ ღონისძიებებისთვის მზადების პროცესში. ასევე მადლობას მოვასხენებ ირანელ ხელოვანებს, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოში, რათა საუკეთესოდ წარმოაჩინონ ჩვენი ქვეყნის კულტურა.»

ლობაში, 15 საათზე გაიმართება ირანული ფილმების ჩვენება და მათ შესახებ დისკუსია. რაც შეეხება ირანულ ფოლკლორულ მუსიკას, ვინც ამ მიმართულებით არის დაინტერესებული, მათ მეუძლიათ ორი კონცერტი მოისმინონ. პირველი 12 მარტს ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეორე კი 13 მარტს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ირანული კულტურის დღეების დახურვის ცერემონიის პარალელურად.

დაბოლოს, კვირეულის მნიშვნელობისა და დატვირთვის ერთგვარ შეჯამებაში პირველსავე დღეს დაგვეხმარა გიორგი ლობჯანიძე, რომელიც თამამად შეიძლება მოვიანზოთ თანამედროვე ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობებში ყველაზე მნიშვნელოვან და ჩვენთვის სამაყო მედიატორად.

გიორგი ლობჯანიძე, ლიტერატორი: «ჩემთვის ბევრი რამ არის ამ კვირეულის პროგრამაში საინტერესო, მაგრამ მთავარი ისაა, თუ რამდენად საინტერესო იქნება ეს ყველაფერი ქართველი მხანველისთვის, მსმენელისა და მაყურებლისთვის, რომელიც ამ რიგის ღონისძიებებს გაეცნობა. თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოში ტარდება ირანის კულტურის კვირეული. რადგანაც საქართველოსა და ირანს ყოველთვის ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა, არა მხოლოდ კულტურული, არამედ პოლიტიკური და სამხედრო. მაგრამ ურთიერთობათა სპექტრში ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურული ხაზი. ივანე ჯავახიშვილი იმასაც წერს, რომ თუ კი ამ ორ ქვეყანას ზოგჯერ პოლიტიკური, ან სამხედრო უთანხმოება ჰქონდა, ამ ყველაფერს კულტურული ურთიერთობები არიგებდა და აზავებდაო. ქართველებს ოდითგანვე ესმოდათ სპარსული კულტურის ფასი და ცხადია, დღესაც ჩვენთვის ძალიან საინტერესო ქვეყანაა ირანი თავისი ტრადიციით, თავისი თანამედროვეობით. სამწუხაროდ გასაგები მიზეზების გამო, ეს ურთიერთობები პრაქტიკულად შეწყვეტილი იყო, უფრო სწორად, კომუნიკების დროს რამდენიმე ადამიანის ენთუზიაზმზე ეკიდა, ახლა ძალიან კარგია, რომ გვეძლევა საშუალება უფრო ახლოს გავიცნოთ ქვეყანა, რომელიც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ,

ჩვენი მეზობელია. ზედმეტი არაფრის ცოდნა არ არის, მით უფრო მეზობელი ქვეყნის კულტურის გაცნობა და ადეკვატური გააზრება, რათა შემდგომ დასკვნები გამოვიტანოთ, ჩვენი კულტურა გავამდიდროთ. რაც მთავარია, ეს არ უნდა იყოს ცალმხრივი პროცესი. მე ვფიქრობ ძალიან კარგი იქნება თუ ქართული კულტურის კვირეული მოეწყობა თეირანში, რათა ამ ურთიერთობებმა ორმხრივი სახე მიიღოს.

თეირანში სამი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი და ახლაც რეგულარულად მინევს ხოლმე იქ ჩასვლა. წელიწადში სულ ცოტა ორჯერ. აქედან გამომდინარე უკვე დინამიკაში შემიძლია შეეფასო ის ინტერესი, რომელიც ქართული კულტურის მიმართ არსებობს. თავიდან, როდესაც პირველად გაიხსნა საზღვრები და მომინია თეირანში ჩასვლა ქართულ კულტურასთან მიმართებაში უფრო პეროიკული განწყობები იყო და ნაკლებად გვიცნობდნენ. შესაბამისად ჩვენც პირველად გვეძლეოდა ირანის გაცნობის საშუალება. მაგრამ იმ დროს ირანში ჩასულებმა მოვახერხეთ, რომ თეირანში სერიოზულად დაინტერესდნენ ქართული კულტურით. ამ ინტერესის შედეგებს ალბათ ცოტა უფრო გვიან დავინახავთ. საგარეოდო მაშინ, როცა იარსებებს სახელმწიფოებს შორის მწყობრი კულტურული პოლიტიკა. როდესაც ბოლოს და ბოლოს ჩვენი სახელმწიფო მიხვდება იმას, რომ ქართული კულტურის პრეზენტაცია უახლოესი მეზობელი ქვეყნებისთვისაც უნდა იყოს პრიორიტეტული და რომ უნდა გვქონდეს თანმიმდევრული პოლიტიკა ამასთან დაკავშირებით. გარკვეული კულტურული ურთიერთობა არის, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ძალიან დიდი დაინტერესება გამოიჩინეს ირანელმა გამომცემლებმა, რომ სპარსულად თარგმნილიყო ქართული პროზის და პოეზიის ანთოლოგია, ჯერჯერობით ესეც პროექტების დონეზე რჩება. სამწუხაროდ ყველაფერი რამდენიმე კაცის ენთუზიაზმის ამა-რაა დატოვებული...

ჩამოსული სტუმრების ნაწილს ვიცნობ. ისინი ირანში აღიარებული ხელოვნები არიან. ძალიან საინტერესოა ირანული კინოს ლიტერატურა, საზოგადოების ვურჩევდი ამ ფილმების ნახვას. კინემატოგრაფია ხომ ყველაზე უკეთ გვიჩვენებს ქვეყნის შესახებ რეალურ სურათს და ვფიქრობ, რომ ირანული კინოს აქ წარმოდგენილი ნიმუშები გააქარწყლებს იმ არასწორ წარმოდგენებს, რომლებიც ძირითადად დასავლური პრესის ზეგავლენით ჩვენში არსებობს. ვფიქრობ, ეს ფილმები და ზოგადად კვირეული დაგვანახებს ნამდვილ ირანს.»

P.S.უნდა აღინიშნოს, რომ ერთი წლის წინ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ თეირანსა და ისპახანში თანამედროვე ქართველი მხატვრების რეტროსპექტიული გამოფენა ჩაიტანა. მას შემდეგ სამხატვრო აკადემიას აღნიშნული ქალაქების უნივერსიტეტებთან აქვს ურთიერთობა. ამ ურთიერთობებისა და ერთობლივი გეგმების ფარგლებში მიმდინარე წლის აპრილში ირანიდან თბილისში დელეგაციის ჩამოსვლა იგეგმება. სამხატვრო აკადემიაში იმედი აქვთ, რომ უკვე დაგეგმილი სტუდენტური გაცვლითი პროგრამის ამუშავებას (თბილისსა და თეირანს შორის), რომელიც აგვისტოს ომის გამო გადაიდო, ხელს აღარაფერი შეუშლის.

ბრიტანელმა მეცნიერებმა უძველეს სიტყვებს მიაგნეს

ბრიტანეთის ქალაქ რიდინგის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ინგლისური ენის უძველესი სიტყვების ასაკი დაადგინეს, გვამცნობს BBC News. ერთ-ერთი ყველაზე უძველესიდან არის სიტყვები: მე - I, ჩვენ - We, ვინ - Who , ორი - Two , სამი - Three, რომლებიც გამოიყენება უკვე 40 ათასი წელია და წარმოიშვნენ ინდო-ევროპული ოჯახის თანამედროვე ენებიდან ნებისმიერის წარმოშობამდე.

თვლადი one - ერთი რამდენადმე ახალგაზრდაა, ვიდრე ორი და სამი. Four (ოთხი) - მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ამიტომაც ამ თვლადის ამჟერად გამოყენებადი ვარიანტი არსებითად ახალგაზრდაა.

მეცნიერების მოსაზრებით, რამდენადაც ხშირად გამოიყენება სიტყვა, იმდენად ნაკლებად განიცდის ცვლილებებს დროთა განმავლობაში, ამიტომაც ყველაზე ძველი სიტყვები - ყველაზე ფართოდ გამოყენებადი სიტყვებია. ამავე დროს, ის სიტყვები, რომლებიც სწრაფად იცვლება, დიდხანს ვერ ცოცხლობენ.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ გამოყენებას ერთ-ერთი პირველი გამოთქმა სიტყვა dirty - ჭუჭყიანი, რომელიც ძალიან სწრაფად იცვლებოდა - ამჟამად ინდო-ევროპული ჯგუფის ენებში ამ სიტყვის 46 ვარიანტი არსებობს. ამის მსგავსი სიტყვებია - stick - ჯოხი, guts - შიგნეული ან ხასიათი. ამას გარდა, ძალიან სწრაფად შეიცვლიან სახეს ზმნები.

რიდინგის უნივერსიტეტის ბიოლოგმა - მარკ პეიჯელმა აღნიშნა, რომ კვლევის ერთ-ერთ საგანი იყო ბგერების კავშირი გარკვეულ ცნებებთან, რომელიც უმეტესად შემთხვევითი გზით წარმოიშვა, მაგრამ ათი ათასობით წლის განმავლობაში შენარჩუნდა.

დაკარგული სერბული ხატი 30 წლის შემდეგ იპოვეს

XVIII საუკუნის სერბული ხატი, რომელიც 1977 წლის აპრილში მოიპარეს წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან ნერადინში, 25 თებერვალს იტალიის პოლიციამ ქალაქ პეზაროში იპოვა. ამის შესახებ ინფორმაციას [რია ნოვოსტი] ავრცელებს.

პოლიციელების მიერ ხატი იდენტიფიცირებული იყო ინტერპოლის მონაცემთა ბაზასთან შეჯერების შემდეგ.

იტალიური სასამართლოს გადაწყვეტილებით, ის სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნდა. ხატის გადაცემა შედგა გუშინ, რომში სერბეთის საელჩოში.

[მესოს ნათლისღების] ხატი წარმოადგენს უდიდესი დღესასწაულების [ციკლის ნაწილს, რომელიც 1778 წელს ოსტატმა ევრემ ისაილოვიჩმა შეასრულა.

Bonhams-ის სახლმა ბენკსის ნამუშევრები ვერ გაყიდა

მოდელ კეიტ მოსის ექვს პორტრეტს, რომელიც გრაფიტისტმა ბენკსმა ენდი უორჰოლის მიზანძვით შექმნა, ლონდონის აუქციონზე - Bonhams მყიდველი არ გამოუჩნდა. როგორც BBC News იტყობინება, ეს ციკლი შეფასებული იყო 150 ათას ფუნტ სტერლინგად (დაახლოებით, 215 ათას დოლარად).

ბენკსის მიერ შესრულებული მოსის პორტრეტები მოგაგონებთ შოლკოვარფის ცნობილი ნიმუშების ციკლს, რომლებზეც უორჰოლმა, სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად, მერლინ მონროც გამოსახა.

ბენკსი იყენებს ფსევდონიმს ბრიტანელი მხატვრისა, რომელიც ქუჩის მახვილგონიერი მოხატულობით არის ცნობილი. ბენკსის ნამუშევრებმა აუქციონთა სახლების დარბაზებში ფინანსურ კრიზისამდე, დაახლოებით, ერთი წლის წინ შეაღწია. მისი ნაწარმოებების ღირებულება ასი ათას დოლარამდეც აწეულა. მაგალითად, 2007 წელს ერთ-ერთი მისი ნამუშევარი Sothebys აუქციონზე 379 ათას დოლარად გაიყიდა.

The Prodigy ბრიტანული ჰიტ-პარადის სათავეში აღმოჩნდა

ელექტრონული ტრიოს The Prodigy ახალმა ალბომმა - Invaders Must Die, ბრიტანულ ჰიტ-პარადში პირველი ადგილი დაიკავა. როგორც New Musical Express-ი აცხადებს, ახალი ალბომის გამოსვლიდან პირველი კვირის განმავლობაში გაყიდული დისკების რაოდენობამ დაახლოებით 100 ათასი ასლი შეადგინა. ამ შედეგმა მას უფლება მისცა 2009 წლის დასაწყისში დიდ ბრიტანეთში ყველაზე სწრაფად გაყიდვადი ალბომი გამხდარიყო. The Prodigy-ს კარიერაში ეს უკვე მეხუთე შემთხვევაა, როცა ბრიტანულ ჩარტებში უმაღლეს ადგილს იკავებს. ანალოგიური წარმატება ადრე ჯგუფს ალბომებმა Music for the Jilted Generation (1994), The Fat of the Land (1997), Always Outnumbered, Never Outgunned (2004) და სინგლების კრებულმა - Their Law: The Singles 1990-2005 (2005) მოუტანა.

ბრიტანული ჰიტ-პარადის იმავე კვირის მეორე ადგილი ჯგუფ ზოლს of Lion-ის ალბომმა - Only By The Night-მა დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე ლილი ალენის დისკი - It's Not Me, It's You გავიდა. სინგლების ჩარტში ლიდერობა კელი კლარკსონმა, სიმღერით - My Life Would Suck Without You მოიპოვა. მეორე ადგილზე ტილიორ სეიფტის სიმღერა - Love Story გავიდა, ხოლო ლიდერების სამეული მომღერალ Lady GaGa-ს სიმღერამ - Poker Face-მა დახურა.

ნუნუ დეიდას აზბაზი

ბათუმის თოჭინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრში ლაშა ბულაძის პიესა დაიდგა

თამარ კიკნაველიძე

დღეს მსახიობ რამაზ იოსელიანს დაბადებიდან 51 წელი შეუსრულდა. ახლახანს მის შემოქმედებით ბიოგრაფიას, რომელიც სხვადასხვა სცენაზე განსახიერებული როლების პარალელურად სარეჟისორო საქმიანობასაც მოიცავს, კიდევ ერთი დადგმა შეემატა. კერძოდ, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრში მის მიერ ლაშა ბულაძის პიესის - "ნაფტალინი" მიხედვით განხორციელებული სპექტაკლი [ნუნუ მასწავლებელი ჯოჯოხეთში] დაიდგა.

ამჟამად რამაზ იოსელიანი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობია. მუშაობდა რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის სახელობის, ასევე, თფვის უფალ და მეტეხის თეატრებში. 2004-2007 წლებში იყო გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ.

მის მიერ ბათუმის თეატრში დადგმული წარმოდგენა რამდენიმე ნიშნით არის საინტერესო. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სპექტაკლი მნიშვნელოვანია არა იმდენად მხატვრული თვალსაზრისით, რამდენადაც მოვლენურობით. ის წინგადადგმული ნაბიჯია, უპირველესად, ამ თეატრის პოპულარიზაციისა და მისი შემოქმედებითი ძალების გამოცოცხლებისა თუ დაოსტატების საქმეში.

ბათუმის თოჯინების თეატრი 1936 წელს დაარსდა. 2001 წლამდე აქ მხოლოდ თოჯინური წარმოდგენები იმართებოდა. შემდეგ მოზარდებისთვის განკუთვნილი რამდენიმე სპექტაკლიც დაიდგა, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც აღმოჩნდა, [ნუნუ მასწავლებელი ჯოჯოხეთში] პირველი მცდელობაა იმისა, რომ თოჯინების თეატრმა მოზარდ მაყურებელთა ინტერესი დააკმაყოფილოს და მოღვაწეობის არეალი გაიფართოვოს (ამ თეატრის მმართველია მედეა ჩარკვიანი).

მეორე ასპექტი, რის გამოც ეს წარმოდგენა წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს არის ის, რომ აქ მეთოჯინე მსახიობები ახალ ამბულაში მოგვევლინენ და სამსახიობო შესაძლებლობების წარმოჩენას შეეცადნენ. მათთვის რამაზ იოსელიანთან თანამშრომლობა პროფესიული დაოსტატების მხრივ სასარგებლო აღმოჩნდა.

თეატრში, სადაც მაყურებლის უმეტესობა მოზარდია, ყურადღება უნდა ექცეოდეს დრამატურგიას. ამ შემთხვევაში, არჩევანი ლაშა ბულაძის პიესაზე [ნაფტალინი] შეჩერდა, რომელიც 2007 წელს დაიწერა. ეს პიესა მონაწილეობდა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებულ კონკურსში [ხალი ქართული პიესა]. როგორც ამ ფონდის დამაარსებელმა და აღნიშნული კონ-



კურსის ორგანიზატორმა მანანა ანთაძემ გვითხრა, ლაშა ბულაძის [ნაფტალინი], რომელსაც გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, კონკურსიდან მოიხსნა, რადგან გამოქვეყნებული იყო.

[ნაფტალინი] პირველად ბათუმის თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრში დაიდგა. მას შეუცვალეს სათაური, ოდნავ შეამოკლეს, მაგრამ ტექსტი შეინარჩუნეს

[შე ვერ სპექტაკლი არ მიწახავს... მაგრამ ვინც ნახა მითხრა, რომ ტექსტი რეჟისორის მიერ ინტერპრეტირებული არ არის, ანუ შენარჩუნებულია ის, რაც ამ პიესაში ჩავდე... ვიცო, რომ ამ წარმოდგენას მალე თბილისში ჩამოიტანენ და თუ მის სანახავად ბათუმში ვერ ჩავედი, აქ აუცილებლად ვნახავ", - გვითხრა ლაშა ბულაძემ.

მარტის ბოლოს ამ წარმოდგენას კინომსახიობთა თეატრის სცენაზე უჩვენებენ. მასში დასის სრული შემადგენლობაა დაკავებული. ნუნუ მასწავლებლის როლზე ორი მსახიობი აიყვანეს, ერთია ამ თეატრის მსახიობი გურანდა თოდრია, ხოლო მეორე - დრამატული თეატრის მსახიობი გოჩა ხვიჩია.

ის რომ აქცენტი ამ პერსონაჟზეა გაკეთებული სპექტაკლის დასათაურებაც მოწმობს. დრამატული თეატრის წევრთან თანამშრომლობამ თოჯინების თეატრის მსახიობებს გამოცდილება შესძინა... მაგრამ ასეთ მცირე სცენაზე გამოსვლა იოლი არც მონვეული მსახიობისთვის აღმოჩნდა.

[თავდაპირველად პატარა სცენაზე მუშაობა ძალიან გამოიჭირდა. რეჟისორი მუდმივად მაძლევდა შენიშვნას, თავი ქვევით ჩამოსწიო... რადგანაც მიჩვეული ვარ დიდ სცენაზე დგომას, სადაც არც თავის აწევას პრობლემა და სივრცეც დიდია... აქ კი, სცენა მცირეა,

კამერული, მაყურებელთა დარბაზი ქვევითაა და ამიტომ დიდი ძალისხმევა მჭირდებოდა იმისათვის, რომ ამ თვალსაზრისითაც მეფიქრა...

თოჯინების თეატრის დასს რაც შეეხება, მათთვის ეს წარმოდგენა ცოცხალ პლანში მუშაობის პირველი მცდელობაა... მათთვის ეს უჩვეული იყო და დასაწყისში გაუჭირდათ კიდევ, მაგრამ რამაზ იოსელიანმა იმდენი მოახერხა, რომ თითოეული მსახიობისგან პერსონაჟი შექმნა...

"არ შემიძლია არ აღვნიშნო მათი ჩემდამი დამოკიდებულება... რეპეტიციებიდან მოყოლებული საპრემიერო სპექტაკლების ჩათვლით, მე ვგრძნობდი თითოეულის მხარდაჭერასა და თანადგომას. ყველა ჩემი გულშემატკივარი იყო, დაწყებული ტექნიკური პერსონალიდან მსახიობებით დამთავრებული... საერთოდ, ძალიან კარგი ჯგუფი და თბილი თეატრია... აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სპექტაკლით შედგა ჩემი და რამაზ იოსელიანის შემოქმედებითი ურთიერთობა. მასთან მუშაობა საინტერესო აღმოჩნდა. ის, უპირველესად ძალიან კარგი მსახიობია, ამიტომ მისგან სამსახიობო ოსტატობის თვალსაზრისითაც ბევრი ვისწავლე", - გვითხრა გოჩა ხვიჩიამ.

პიესაზე მუშაობა დასმა იანვარში დაიწყო. სამაგიდო რეპეტიციებს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ზურაბ ცინცაძე უძღვებოდა. 5 თებერვლიდან კი, რეპეტიციებს რამაზ იოსელიანი შეუერთდა და ზუსტად ერთ თვეში შედგა პრემიერა სპექტაკლისა, რომელმაც სხვადასხვა ასაკის მაყურებელი შემოიკრიბა, მათ შორის აჭარის კულტურის მინისტრი მათე ტაკიძე.

სპექტაკლში ასახულია ყოფილი სკოლის დირექტორის, ნუნუ მასწავლებლის ისტორია. ამ ქვეყნიდან მას ნათესა-

ვი, სახელად ლელა (მსახიობი ირმა მეგლაძე) [გაისტუმრებს" - ვალიდოლის ნაცვლად ნაფტალინს ასმევდა... გარდაცვლილი ნუნუ შეცდომით ჯოჯოხეთში მოხვდება, არაერთ განსაცდელს გაუძლებს და ბოლოს გაცოცხლდება კიდევ. მართალია, სცენას, საგანგებოდ ამ წარმოდგენისთვის, ავანსცენაც მიამატეს, მაგრამ პიესაში მოცემული დრამატურგის რემარკების სრულად გამოყენება (სცენის კამერულობის მიზეზით) მაინც ვერ მოხერხდა. სცენოგრაფია მარინა ფრანგიშვილს ეკუთვნის, კომპოზიტორია მინდია ხითარიშვილი. მასში მონაწილეობენ: ალექო გაბაიძე, ვანო მალაქელიძე, ქეთევან სამხარაძე, ლევან მიდილიში, სოფო ცინცაძე, ვალერი თელია, ნინო დავითაშვილი. მსახიობ გოჩა ხვიჩიასთან ერთად, რომელმაც ქალის პერსონაჟი გაითავისა და შეეცადა ნუნუ მასწავლებლის ისტორია მაყურებლისთვის იუმორით მოეთხრო, დამაჯერებლობით გამოირჩეოდნენ: კობა ფაცურია და ანრი ჩაგუნავა, ერთმა ვასილ მუჟანაძის როლი განასახიერა, ხოლო მეორემ - ნუნუ მასწავლებლის ქმარი, რეზო.

სამსახიობო ოსტატობის დაუფლების, მეტყველების კულტურის გამომუშავების თუ სცენის გათავისების თვალსაზრისით დასს ბევრი სამუშაო აქვს. მათ საკუთარი შესაძლებლობები აქ მუსიკალურ თუ საცეკვაო ნომრებშიც მოსინჯეს. საქართველოს რეგიონალური თეატრების ქსელში 2008 წლიდან განვერიანებული ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი ამ სპექტაკლის ჩვენებას თბილისის გარდა, საქართველოს სხვა თეატრებშიც გეგმავს და რამაზ იოსელიანთან თანამშრომლობის გაგრძელებას აპირებს.

კიკაბიძე

სტანისლავ გოვორუხინი წუხს, მაგრამ ბოლომდე ვერ წუხს

ი ა ვაჟა

რამდენიმე დღეა, რაც რუსული მედია კიდევ ერთი ქართველი მომღერლის სიმღერით, განსაკუთრებით კი ტექსტით დაინტერესდა. ვახტანგ კიკაბიძის სიმღერამ —**სიმღერა**, რომლის მიხედვით გადაღებული ვიდეო ჩვენი მაყურებლისთვის უკვე კარგადაა ცნობილი, ამჯერად რუსი ინტელიგენცია აალაპარაკა - სწორედ ისინი, ვინც კიკაბიძის იმედგაცრუება გამოიწვია და არის შესახებაც მას უკვე არა ერთხელ გამოუთქვამს აზრი.

სიმღერა რუსულ ენაზეა, რაც მის პირდაპირ ადრესატებზე მიუთითებს - რუს მსმენელზე. კლიპში გამოყენებული ვიდეო ჩანაწერები კი ტექსტის შინაარსის ილუსტრაციაა. ერთმანეთს ცვლის საბჭოთა პერიოდის კადრები: რუსული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები ყვავილებით ამკობენ ილიასა და აკაკის ძეგლს, ხოტბას ასხამენ რუსთაველს, ბედნიერებას გამოხატავენ იმის გამო, რომ მაიაკოვსკი საქართველოში დაიბადა, კითხულობენ საქართველოზე დაწერილ საკუთარ ლექსებს და ცხადია ქართულ სუფრაზეც მოილხნენ. ძველ ქრონიკას კი 90-იან წლების დასაწყისში სოხუმისა და აგვისტოში გორის დაბომბვის კადრები ცვლის. ამ ყველაფერს დარბაზში მარტო მჯდომი მომღერალი დამწერებული შესცქერის და მღერის: **სიმღერა**, **სიმღერა**, **სიმღერა**. რუსული ინტერნეტ პრესისთვის მიცემულ კომენტარში ვახტანგ კიკაბიძე არ მალავს, რომ ის სამონღალდ უკმაყოფილოა რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლების უმოქმედობით მაშინ, როდესაც საქართველოს ყველაზე მეტად



უჭირდა: "მათ შეეძლოთ ხმა აღემაღლებინათ იმ ძალადობის წინაშე, რომელსაც რუსეთი პატარა ერის მიმართ ახორციელებდა, თუმცა ასე არ მოხდა. ამ კლიპით ვინმეს გაღიზიანება სულაც არ მსურდა, მხოლოდ მინდოდა შემეხსენებინა, რომ ქართული და რუსული სახელოვნებო ინტელიგენციის წარმომადგენლებს ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა გვქონდა და ამ ურთიერთობის შესანარჩუნებლად ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო. სამწუხაროდ, აგვისტოს მოვლენების დროს მათი დუმილი ჩემთვის ნამდვილად იმედის გაცრუება აღმოჩნდა".

ვახტანგ კიკაბიძის კლიპი რუსულ ინტერნეტ გვერდებზეცაა განთავსებული და როგორც პრესა იუნყებნა, მომღერლის მიმართით ასობით შეურაცხყოფი

ფელი კომენტარია გაკეთებული. საკუთარი აზრი გამოთქვას კიკაბიძის სიმღერის ადრესატებმაც. როგორც რუსული ინტერნეტ პრესა ავრცელებს, ინტელიგენციის არა ერთი წარმომადგენელი გაგებით მოეკიდა სიმღერასა და კიკაბიძის განწყობას და გამოთქმული საყვედურიც მიიღეს. ცნობილმა რეჟისორმა, სტანისლავ გოვორუხინმა კი შემდეგი კომენტარი გააკეთა: "აღამიანურად მესმის ვახტანგ კიკაბიძის, რომელიც სამართლიანად გვდებს ბრალს, რომ აგვისტოს მოვლენებისას ხმა არავის ამოგვიღია. საკუთარი თავისა და ჩემი კოლეგების გასამართლებლად მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულვართ, რეალურად რა მოხდა მაშინ. დარწმუნებული ვარ, ზუსტი ინფორმაცია არც ქარ-

თული ინტელიგენციის წარმომადგენლებს აქვთ. ამ ომში ჩვენც დამნაშავეები ვართ და ქართველებიც. თუ კიკაბიძეს აგვისტოს ომის თაობაზე ყველაფერი დაზუსტებით იცის, მაშინ აქვს ჩვენ მიმართ საყვედურის გამოთქმის უფლება".

როგორც ხედავთ, რუსი რეჟისორი არც მწვადს წვავს და არც შამფურს ვნებს რამეს, კომენტარი კი იმ მიმართულებით მიჰყავს, სადაც კიკაბიძის პრეტენზია საერთოდ არაა. ქართველ მომღერალს არავისთვის მოუთხოვია აგვისტოს მოვლენების სამართლებრივი შეფასება და მტყუან-მართლის გარჩევა - მან მხოლოდ კონკრეტული ადამიანების გულგრილობისადმი საკუთარი გულსიტკივილი გამოთქვა, რისი სრული უფლება და საფუძველიც აქვს. ომის წინააღმდეგ ხმის ამოსაღებად კი "ზუსტი ინფორმაციის" ცოდნაზე მეტად ელემენტარული სურვილი კმარა.

კომენტარის ბოლოს კი სტანისლავ გოვორუხინი პოსტაბჭოთა ქვეყნების ინტელიგენციის ურთიერთობის განხილვას რუსეთ-საქართველოს ფარგლებს აცილებს და დასავლეთისკენ ინაცვლებს: "უკვე დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ რუსი ინტელიგენციისა და უკრაინელი, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და ცხადია ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის გლობალური გახლეჩა მოხდა. ჩვენ განვცალკევდით და ეს საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. ახლა არ შემიძლია ისტორიულად ვიმსჯელო და ვთქვა, ვინაა დამნაშავე ან დრო ყველაფერს თავის ადგილას დააყენებს თუ არა, თუმცა ფიქრობ, როდესაც ეს დრო მოვა, აღარც მე ვიქნები ცოცხალი და აღარც კიკაბიძე"...

პრეზიდენტ ლინკოლნის უკანასკნელი ფოტო 50 ათას დოლარად

ამერიკელმა კოლექციონერმა კია მორგანმა (Keya Morgan) ლეგენდარული ამერიკელი გენერლის, ულის გრანტის შვილობილის 50 ათასი დოლარი ოჯახური ალბომიდან ამოღებული ფოტოსურათისთვის გადაუხადა, რომელიც, საერთო აზრის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის - ავრაამ ლინკოლნის უკანასკნელი ფოტოსურათად არის მიჩნეული. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას, სააგენტო Associated Press-ი ავრცელებს.

38 წლის გენერლის შთამომავალს არა ერთხელ უნახავს ეს ფოტოსურათი თავიანთ ოჯახურ ალბომში, თუმცა ყურადღება მას მხოლოდ 2009 წლის იანვარში მიაქცია. მან შეამჩნია, რომ სურათზე ძალიან მაღალი სიმაღლის მქონე ადამიანი იყო გამოსახული, რომელიც თეთრი სახლის წინ იდგა. სახის ნაკვთები ფოტოსურათზე კარგად არ არის გამოკვეთილი. აღსანიშნავია, რომ ავრაამ ლინკოლნის სიმალე 193 სანტიმეტრი გახლდათ. მორგანმა, რომელსაც გრანტმა კონსულტაციისთვის დაურეკა, ურჩია, ფოტოსურათი ალბომიდან ამოეღო. სურათის უკანა მხარეს აღმოჩნდა წარწერა: "ლინკოლნი თეთრი სახლის წინ", რომელიც გენერლის უმცროსი შვილის მიერ იყო წაწერილი.

ფოტოსურათი 1856 წლით არის დათარიღებული და ფოტოგრაფ ჰენრი უორენის (Henry



F. Warren) მიერაა გადაღებული. საარქივო დოკუმენტებიდან მორგანმა გაარკვია, რომ უორენი ვაშინგტონში პრეზიდენტ ლინკოლნისთვის სურათის გადასაღებად, მის მეორე ინაუგურაციამდე ცოტა ხნით ადრე ჩავიდა. პრეზიდენტის მეორე ინაუგურაცია 1856 წლის მარტში გაიმართა, ხოლო აპრილში ლინკოლნი თეატრის მსახიობმა ჯონ ბუტმა მოკლა. ამ ინფორმაციის საფუძველზე, ფოტოსურათი შე-

საძლოა ლინკოლნის უკანასკნელი ფოტო აღმოჩნდეს, სადაც პრეზიდენტი თეთრი სახლის ფონზეა გადაღებული.

აღსანიშნავია, რომ წელს ამერიკელმა ისტორიკოსებმა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, საუკეთესო პრეზიდენტად ავრაამ ლინკოლნი დაასახელეს. გამოკითხვის შედეგები, რომელიც ტელეარხმა C-SPAN-მა ჩაატარა, ლინკოლნის 200 წლის იუბილედან ცოტა ხან-

ში იქნა გამოქვეყნებული. საუკეთესო პრეზიდენტის იუბილე ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ ფართო მასშტაბით აღნიშნეს. ამერიკის საუკეთესო პრეზიდენტების პირველ ხუთეულში მოხვდნენ ჯორჯ ვაშინგტონი, ფრანკლინ რუზველტი, თეოდორ რუზველტი და გარი ტრუმენი. ამერიკის 43-ე პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა, ჩამონათვალში მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა.

C-SPAN-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში 65 ისტორიკოსმა მიიღო მონაწილეობა, რომლებიც ამერიკის პრეზიდენტების შესწავლაში იყვნენ სპეციალიზებული. რესპონდენტებს უნდა განესაზღვრათ თითოეული პრეზიდენტის მიღწევები, მათი საზოგადოების დარწმუნების შესაძლებლობები, კრიზისის დროს მათი ლიდერობის ხარისხი და ა.შ. ასეთივე სახის გამოკითხვა, ამერიკაში 2000 წელსაც ჩატარდა, სადაც პირველი ადგილი ასევე ლინკოლნს ხვდა წილად. მიუხედავად ამისა, ისტორიკოსების აზრი საზოგადოების აზრს არ ემთხვევა. ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა Gallup-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, სადაც რესპონდენტებმა უდიდეს ამერიკის პრეზიდენტად რონალდ რეიგანი აღიარეს, ხოლო ლინკოლნი და ჯონ კენედი, მეორე-მესამე ადგილზე გადაინაწილეს.



11 მარტი

თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
[Play ანუ სიკვდილის როკვა
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

კოტე მარჯანიშვილის სახელობის
თეატრი
პრემიერა
"ფიგაროს ქორწინება"
დასაწყისი: 19.00

თეატრი სხვენში
[სასიყვარულო ბარათები
რეჟისორი თემურ ჩხეიძე
დასაწყისი: 19.00

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
"სექსუალური რევოლუცია"
რეჟისორი ნინო ბასილია
დასაწყისი; 19.00

თავისუფალი თეატრი
[ქალთა გულის მპყრობელი
დასაწყისი: 20.00

თეატრი ათონელზე
[გარაკი
დასაწყისი: 19.00

კინო

"რუსთაველი"
"მადაგასკარი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 20.00
"ცვლილება"
დასაწყისი: 13.00; 16.00
"ოპერაცია ვალკირია"
დასაწყისი: 19.15; 21.15
"როკენროლა"
დასაწყისი: 12.30; 14.45; 17.00;
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ვარდისფერი პანტერა 2"
დასაწყისი: 13.15; 15.00; 16.45; 18.30;
20.15; 22.15

"ამირანი"
"მადაგასკარი 2"
დასაწყისი : 13.00 ; 15.00 ; 17.00
"ვიკი, კრისტინა, ბარსელონა"
დასაწყისი : 19.00 ; 21.00

გამოფენა

[ვერნისაჟი
ე.ვირსალაძის სახელობის ხელოვნების
სასწავლებლის
მოსწავლეთა გამოფენა

[ჰობი
ჯემალ კუხალაშვილის პერსონალური გა-
მოფენა

"ქარვასლა"
XX საუკუნის არქიტექტურული მემკვიდ-
რეობა საფრანგეთში

"შარდენი"
ტიბრული მინანქრის გამოფენა

სატენდერო მოწვევა

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (დამატებითი დაფინანსება)
კრედიტის ნომერი 3938-GE
სატენდერო მოწვევის ნომერი: SLRP/CW/ICB-39

სარეაბილიტაციო სამუშაოები შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის
ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილი
საავტომობილო გზის კმ23+000-კმ33+000 მონაკვეთზე

1. საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი მსოფლიო ბანკიდან შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების პროექტის ხარჯების დასაფარავად და განზრახული აქვს ამ კრედიტის ნაწილი გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილი საავტომობილო გზის კმ23+000-კმ33+000 მონაკვეთზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების კონტრაქტის ასანაზღაურებლად.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე და კვალიფიცირებული პრეტენდენტებიდან, მოსამზადებელი და მიწის სამუშაოების, გზის საფარის, ხელოვნური ნაგებობების, მიერთებების და გადაკვეთების, გზის კუთვნილების და მოწყობილობის აღდგენა-განახლების სამუშაოების შესასრულებლად. სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადაა **15 თვე**.

3. შესყიდვა ჩატარდება საერთაშორისო ტენდერის (ICB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: "შესყიდვები განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის სესხებით და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტებით" და ღიაა ყველა პრეტენდენტისათვის, რომლებსაც სატენდერო დოკუმენტები განსაზღვრავს.

4. დაინტერესებულ, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსთან ბ-ნ შაქრო ხალვაშთან ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

5. კონტრაქტის მინიჭებისათვის კვალიფიცირების მიზნით, პრეტენდენტებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მინიმალური საკვალიფიკაციო კრიტერიუმები:

a. სამშენებლო სამუშაოების მოცულობის საშუალო წლიური მაჩვენებელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს **3,000,000 სამი მილიონი ლარი ან ექვივალენტი**;

b. სულ მცირე ერთი ობიექტის მშენებლობაში, როგორც მთავარი კონტრაქტორი ბოლო 5 წლის მანძილზე ექვივალენტური სამუშაოების ხასიათით და კომპლექსურობით, (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აღნიშნული სამუშაოების სულ მცირე 70% პროცენტი უნდა იქნას შესრულებული);

c. დოკუმენტურ დადასტურებას, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული რაიმე სასამართლო

თლო საქმეში მის გაკოტრებასთან, რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

d. სააგანსო გადასახადებისაგან თავისუფალი ლიკვიდური აქტივები და/ან საკრედიტო საშუალებები, სხვა სუფთა კონტრაქტული ვალდებულებები, რაც შესაძლოა გათვალისწინებული იქნას კონტრაქტის ფარგლებში - არა უმცირეს **400 000 (ოთხასი ათასი) ლარი ან** ექვივალენტი;

6. სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის შეძენა ინგლისურ ან ქართულ ენაზე დაინტერესებული პრეტენდენტებისათვის შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი **200 ლარის** ან მისი ექვივალენტის აშშ დოლარებში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა შემდეგ ანგარიშზე:

ბაზინის ერთიანი ანგარიში
სალარე ანგარიშის **N 200 122 900**
სავალუტე ანგარიშის **N 001 189 362**
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ბაზინა
ბანკის კოდი: **N 220 101 222**
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: **302 007 800**
გადასახადის დანიშნულება: **სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის (მიუთითეთ ობიექტის დასახელება)**

სატენდერო დოკუმენტები კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ პრეტენდენტებს მათი ხარჯებით.

7. სატენდერო დოკუმენტები მონოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2009 წლის 23 აპრილი დღის 1700 საათისა**. ტენდერის ელექტრონული საშუალებებით ჩატარება არაა დაშვებული. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მითითებულ მისამართზე, იმ პრეტენტენტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადანყვეტენ პერსონალურად დაესწრონ ტენდერის გახსნას **2009 წლის 23 აპრილი დღის 1700 საათი**.

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია, **74.000 ლარის** ოდენობით ან ექვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში. **საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 28 დღით** უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას (60 დღე)

9. ზემოთ მითითებული მისამართი შემდეგია:
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო (IV სართული) სამმართველოს უფროსი შაქრო ხალვაში
აღ.ყაზბეგის გამზირი N12, 0160 თბილისი, საქართველო,
ტელ: + (995 32) 37-05-08 შიდა 215
ფაქსი: + (995 32) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
ვებ გვერდი: www.georoad.ge

დეპარტამენტის სატენდერო კომისია

INVITATION FOR BIDS

Georgia
Secondary and Local Roads Project (Additional Financing)
Credit No 3938-GE
Bid Invitation No: SLRP/CW/ICB-39

Kutaisi-Tskaltubo-Tageri-Lentekhi-Lasdili
Rehabilitation Works of Road Section km 23+000 - km 33+000

1. Georgia is applying for a credit from the World Bank toward the cost of the Secondary and Local Road Project and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contract for rehabilitation works of secondary road Kutaisi-Tskaltubo-Tageri-Lentekhi-Lasdili km 23+000 - km 33+000 section.

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Economic Development of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for execution of preliminary and soil works and rehabilitation of pavement, structures, junctions, intersections and road facilities. Implementation period for execution of construction works is 15 month.

3. Procurement of works will be conducted through the procedures of International Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

4. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact to Mr. Shakro Khalvashi, Head of State Procurement Division of the Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

5. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. Average annual construction turnover of at least 3,000,000 (Three million) GEL or equivalent over the last 5 (five) years;

b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 5 (five) years (At least 70 % of works should be complete);

c. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation*;

d. Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclu-

sive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 400.000 GEL or equivalent.

6. A complete set of bidding documentation in English and Georgian languages may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: 220 101 222
Budget Income Treasure Code: 302 007 800

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

7. The Bids should be delivered at the address below not later than 2009, 23 April 17:00 Hours local time. Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend bid opening on, 23 April 2009, 17:00 Hours local time.

9 All bids should be submitted together with the Bid Securities for the amount of 74,000 GEL or equivalent in convertible currency. Bid Security shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (60 days).

10. The Employer's address for the purpose of Bid submission is

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Procurement Department, IV Floor room 402
Mr. Shakro Khalvashi, Head of the Division
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 32) 37-05-08 ext.215
Fax: + (995 32) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site:: www.georoad.ge

Tender Commission of the Roads Department

სპორტში

რეკორდული მაცამათა ადგილის მოლოდინში

ორშაბათს გამოქვეყნებული რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ახალ რეიტინგში საქართველოს სარაგბო ნაკრებმა მე-14 ადგილი შეინარჩუნა და კვლავაც ტონგასა და კანადის ეროვნულ გუნდებს შორისაა.

გასულ უქმეებზე რაგბიში სანაკრებო დონეზე მატჩები არ გამართულა. მომავალ შაბათ-კვირას კი არაერთი შეხვედრაა დაგეგმილი, რაც მნიშვნელოვანი ცვლილებების მომასწავებელია.

14 მარტს ზორჯღალოსნები თბილისში ერთა თასის ევადით რუმინეთს უმასპინძლებენ და, გამარჯვების შემთხვევაში, ტონგელებთან ჩამორჩენას კიდევ უფრო შეამცირებენ.

ამ დროისთვის საქართველოს რეიტინგი 69.23 ქულაა, ტონგასი კი - 70.05. თუ ზორჯღალოსნებმა 15 ქულამდე სხვაობით გაიმარჯვეს, 0.435 ქულა მიემატებათ და 69.67 გაუხდებათ. თუ ქართველთა უპირატესობამ 15 ქულას გადააჭარბა, რეიტინგში 0.652 ქულა მოგვემატება და 69.88-ქულიან ნიშნულს ვუნევთ, რის შემდეგაც ოკეანელებთან სხვაობა სიმბოლური - 0.17 ქულა დარჩება. აი, ამ სხვაობის აღმოფხვრა რუსეთის დამარცხებით იქნება შესაძლებელი. ასე რომ, ზორჯღალოსნებისთვის ერთთა თასზე გასამართი მომდევნო ორი მატჩი არამარტო სატურნირო თვალსაზრისით არის პრინციპული, არამედ რეიტინგის გათვალისწინებითაც. თუ ჩვენი ბიჭები მეცამეტე პოზიციაზე გადაბარდნენ, ეს ზორჯღალოსნების არსებობის ისტორიამ რეკორდული შედეგი იქნება.

გოცირიძის დაბრუთი მახტართან

უკრაინის ჩემპიონატის განვლილ ტურში დნეპროპეტროვსკის დნიპროს შემადგენლობაში ბექა გოცირიძის დებიუტი გაიმართა. დნიპროს მახტართან დამარცხდა, გოცირიძე კი მეორე ტაიმი გამოჩნდა მოედანზე და აქტიურიც იყო. მეტიც, ქართველ ფორვარდს შეეძლო თავისი გუნდისთვის ფრეც მოეტანა, თუმცა ყველაზე სახიფათო მომენტი, რომელიც ამ მატჩში ორივე გუნდის ფეხბურთელებმა შექმნეს, ბექამ ვერ გამოიყენა. მატჩის შემდეგ გოცირიძეს უკრაინელი ჟურნალისტი ესაუბრა.

- ბექა, რა შთაბეჭდილება დარჩათ ახალ გუნდში პირველი მატჩის შემდეგ?

- კარგია, რომ ჩემი პირველი მატჩი დნიპროს შემადგენლობაში სწორედ მახტარის წინააღმდეგ გავემართე. ეს ძალიან ძლიერი და კარგი გუნდია. სამწუხაროა, რომ ის მომენტი ვერ გამოვიყენე. რომ გამეტანა, ახლა გაცილებით უკეთ ვიგრძნობდი თავს.



საქართველო რეიტინგში დაწინაურებისთვის იბრძოლებს.

IRB-ს რეიტინგი					
1.ახალი ზელანდია	92.68	9.შოტლანდია	76.19	18.რუმინეთი	66.58
2.სამხრეთ აფრიკა	89.45	10.ფიჯი	75.24	19.აშშ	63.55
3.ავსტრალია	85.86	11.სამოა	72.57	20.ურუგვაი	62.78
4.არგენტინა	81.56	12.იტალია	72.56	21.ესპანეთი	59.73
5.უელსი	81.47	13.ტონგა	70.05	22.პორტუგალია	59.56
6.ირლანდია	81.18	14.საქართველო	69.23	23.ს.კორეა	59.02
7.საფრანგეთი	80.14	15.კანადა	69.12	24.ჩილე	56.84
8.ინგლისი	79.68	16.იაპონია	68.05	25.ნამიბია	56.82
		17.რუსეთი	66.91	26.გერმანია	55.74

					
- რამდენად ძნელია ასეთ თამაშში ჩართვა სათადარიგოთა სკამიდან?					
- შიშის გრძნობა არ მქონია. მინდორზე გასვლის წინ მწვრთნელმა მითხრა, რომ შეტევაში მეთამაშა და ასეც მოვიქციე.					
- მატჩის შემდეგ რა გითხრათ ბესონოვმა?					
- პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამს. მატჩის დასრულებისთანავე გასახდელში მთელ გუნდს გვითხრა, რომ ფეხბურთში ასეც ხდება - კარგი თამაშის მოუხედავად, შეიძლება წაგო.					
- თითქმის მთელი საათი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდით თვალყურს თანაგუნდელების თამაშს. ამაზე რას იტყვით?					
- ბიჭებმა კარგად ითამაშეს. ის პენალტი რომ არა, შედეგი სხვაგვარი იქნებოდა.					
- თამაშის დროს ტრიბუნებიდან მხარდაჭერას თუ გრძნობდით?					
- დავინახე, რომ სტადიონი თითქმის სავსე იყო. ვიცოდი, რომ დნეპრო-					
პეტროვსკიდან ჩამოსული ფანებიც იყვნენ, თუმცა ადგილობრივების ხმა უკეთ ისმოდა.					
- ერთი კვირით ადრე დნიპროს ახალგაზრდულ შემადგენლობაში ითამაშეთ და გოლიც გაიტანეთ. ის მატჩი როგორ დაგამახსოვრდათ?					
- იმ მატჩში პენალტიც გამოვიმუშავე. რა თქმა უნდა, კარგია, რომ პირველივე მატჩში შევძელი გოლის გატანა. განსაკუთრებით ის მსიამოვნებს, რომ გულშემოტკივარმა კარგად მიმოლო.					
- შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ ადაპტაციის პროცესი დაასრულეთ?					
- გამოგიტყდებით, თავიდან ძალიან გამჭიქრდა. ახლა თავს უკეთ ვგრძნობ. გუნდში კარგად მიმიღეს. გარკვეული პრობლემები ახლაც მაქვს. პირველ რიგში, ეს იმის ბრალია, რომ რუსულად ცუდად ვლაპარაკობ. თუმცა ჯაბა კანკავა და ალექსანდრე კობახიძე მესმარებიან და ამ საკითხსაც მალე მოვავგარებ. რაც შეეხება თავად ქალაქს, ნორმალურად არც და-					

					
- მომდევნო ორ მატჩს დნიპროსაკუთარ მოედანზე გამართავს. რა გრძნობთ ელთ დნეპროპეტროვსკელი გულშემოტკივრების წინაშე თამაშს?					

- დავიწყეთ იმით, რომ თამაშის

უფლება უნდა მოვიპოვო. ცხადია, ძალიან მინდა ჩვენს სტადიონზე თამაში, მაგრამ ვითამაშებ თუ არა, ეს მწვრთნელის გადასანყევტია. გუნდში დიდი კონკურენციაა და ძირითადად ადგილის მოსაპოვებლად ბევრი შრომა მჭირდება.

- საქართველოში თუ ადევნებენ თვალყურს დნიპროს თამაშს, სადაც მთელ ქართული კოლონია შეიკრიბა?

- რა თქმა უნდა. ყოველი ტურის შემდეგ გაზეთებში ინერება, ვინ როგორ ითამაშა. აქაც გვირეკავენ. მოკლედ, საქართველოში ინფორმაციის სიმწირეს არ განიცდიან.

“ატლეტიკოში” ქართველი ფეხბურთელი ჩაირიცხა					
					
"დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი გიორგი გუგავა ესპანეთში, კერძოდ, გრანადის ატლეტიკოში გააგრძელებს კარიერას. გრანადული კლუბი მადრიდის ატლეტიკოს შვილობილია, რომელიც ესპანეთის მესამე დივიზიონში გამოდის და მადრიდელებს უზრდის ფეხბურთელებს. 21 წლის გუგავა იმ პირობით მიდის ესპანურ კლუბში, რომ მომავალში მადრიდის ატლეტიკოს მაისურს მოირგებს. ახლა ფეხბურთელი სამუშაო ვიზას ელოდება, რათა ესპანეთში გაემგზავროს და გააფორმოს კონტრაქტი.					
“შალკე” მენეჯერის გარეშე დარჩა					
“შალკეს” გენერალური მენეჯერი ანდრეას მიოლერი გუშინ კლუბიდან გაათავისუფლეს. მიზეზი გუნდის მიერ მიმდინარე სეზონზე ნაჩვენები არადაამაკმაყოფილებელი შედეგებია. მთავარი მწვრთნელი ფრედი რუტენი ჯერჯერობით ინარჩუნებს პოსტს. მიმდინარე სეზონში “შალკე” გამოვარდა ჩემპიონთა ლიგიდან, უეფას თასიდან და გერმანიის თასიდან. ბუნდესლიგაში ჩატარებული 23 თამაშის შემდეგ ეს გუნდი 37 ქულით მერვე პოზიციას იკავებს.					
შეიძლებადა ჭილარდინო “რომაში” აღმოჩენილიყო					
იტალიური ფიორენტინას თავდამსხმელმა ალბერტო ჯილარდინომ განაცხადა, რომ რამდენიმე წლის წინ შესაძლებელი იყო რომაში აღმოჩენილიყო. ეს ინფორმაცია Sky Italia-მ გაავრცელა. მაშინ ჩემით არაერთი კლუბი იყო დაინტერესებული. იმხანად რომაულ გუნდს ხელმძღვანელობდა ჩეზარე პრანდელი, რომელმაც თავისთან მიხმო, თუმცა, მე გადავწყვიტე, კიდევ ერთი წელიწადი ჰარმას ლირსება დამეცვა, რადგან ამ კლუბთან ერთად წარმატების მიღწევა მინდოდა, დასძინა ჯილარდინომ, რომელიც 2008 წლიდან ფიორენტინას სახელით სერია A-ში გამართულ 23 მატჩში 15 გოლი გაიტანა. რაც შეეხება ჰარმას, ამ გუნდში ჯილარდინო 2002-2005 წლებში გამოდიოდა. ამ ხნის განმავლობაში მან 96 მატჩი ჩაატარა და 50 გოლი გაიტანა, შემდეგ კი მილანში გადავიდა.					
რისი ეშინია ფერგიუსონს					
ინგლისური მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი აცხადებს, რომ მას პენსიაზე გასვლის ეშინია. ფერგიუსონის მიერ გაკეთებული კომენტარი Sky Sports-მა გაავრცელა. როდესაც 60 წლის გავხდი, საკუთარ თავს მომავლის შესახებ ვკითხე. მაშინ ფეხბურთიდან თითქმის წავედი, მაგრამ მალევე გავაცნობიერე, რომ ოჯახთან ერთად მიღებული გადაწყვეტილება მცდარი იყო. დღეს პენსიაზე გასვლა მაშინებს. დიდი ხანია ამ მატარებლთი გმზავრობ და არ ვიცი რა მეღის, როდესაც მას დავტოვებ. ამიტომ გადავწყვიტე, ასეთი შეკითხვები ჩემს თავს აღარ დავუსვა, დასძინა ფერგიუსონმა, რომელიც იქვე შენდობა, რომ მხოლოდ სამი რამ შეაჩერებს: 1. საკუთარი ჯანმრთელობა; 2. თუ ამ საქმიდან სიამოვნებას ვეღარ მიიღებს; 3. თუ ახალი გამოწვევებისთვის ძალა არ ეყოფა. ყოველ ზაფხულს ექიმს ვსტუმრობ. ის მეუბნება, რომ მუდმივად დილით ადრე ადგომისგან ჩემს ორგანიზმს ზიანი მიადგება. დღეს ჩემი კარიერა ერთი დიდი ლიეი-ოფია ადრე, 2001-2002 წლების სეზონის დასრულებისთანავე, ფერგიუსონი დიდი ფეხბურთიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ შემდეგ მანჩესტერ იუნაიტედთან მუშაობა გააგრძელა. შედეგად, მთლ ტრაფორდის ჯილდოების დარბაზი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ფეხბურთის შოტლანდიელი სპეციალისტი მანჩესტერს 986 წლიდან წერთნის. ამ ხნის განმავლობაში კლუბმა ათჯერ გაიმარჯვა პრემიერლიგაში, ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ხუთჯერ - ფეხბურთის ასოციაციის თასი, სამჯერ - ლიგის თასი, ხოლო თითოჯერ უეფას თასების მფლობელთა თასი, სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო თასი და ფიფას საკლუბო მსოფლიო თასი.					
კალაშნიკოვას მორიგი ტიტული					
ქართველმა ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ ეგვიპტის ქალაქ გიზას 10-ათასიან საერთაშორისო ტურნირზე წყვილთა გათამაშებაში გაიმარჯვა, ერთულებში კი ფინალში გავიდა და, შესაძლოა, მეორე ტიტულიც მფლობელიც გახდეს. კალაშნიკოვა მაროკოელ ელ ალა-მისთან ერთად პირველ ნომრად იყო განთესილი და ფავორიტის სტატუსი გაამართლა. კალაშნიკოვასა და ელ ალა-მის ჩემპიონობისთვის ოთხი გამარჯვება ეყოთ, ფინალში კი ჰოლანდიელებს - მედენსსა და შუფს 6:4, 6:2 სძლიეს.					
ერთუელთა ნახევარფინალში მე-6 ნომრად განთესილმა ოქსანამ ჰოლანდიელი კოეკი 6:4, 6:4 დაამარცხა, გადამწვეტ შეხვედრაში კი ქართველის პირისპირ პირველი რეიტინგის მქონე ესპანელი ფერნანდეს-პრუგუსი დადგება. მიმდინარე კვირაში გიზა კიდევ ერთ 10-ათასიან ტურნირს უმასპინძლებს. კალაშნიკოვა ძირითად ბადეში მოხვდა. კიდევ ორმა ქართველმა ჩოგბურთელმა კი საკვალიფიკაციო ბადიდან დაიწყო ასპარეზობა.					
მარიამ კუპრეიშვილი პირველივე რაუნდში სლოვაკ დომინიკა ჟასოვასთან 3:6, 1:6 დამარცხდა, ანა ჯიქიამ კი სანყის წრეში დასვენების შემდეგ ასევე სლოვაკ ლუკნა-როვასთან 6:3, 3:6, 2:6 წაგო. ესპანეთის ქალაქ ლას პალმას დე გრან კანარიაში ითამაშებენ ეკატერინე გორგოძე და სოფო ქვაცაბაია. ქართველი გოგონები 10-ათასიან ტურნირში ძირითადი ბადიდან ჩაებმებიან.					

ძაგნიძე ლიდერია

ევროპის მეთაე ინდივიდუალური ჩემპიონატის მეორე ტური ქართველი მოჭადრაკეებისთვის წარმატებული გამოდგა. რვა ქართველმა გოგონამ გაიმარჯვა, ორი ყაიმს დასჯერდა და მხოლოდ ერთი დამარცხდა.

რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე ტურნირის 168 მონაწილიდან ორი ტურის თავზე დანაკარგის გარეშე ასპარეზობს 22 მოჭადრაკე, რომელთა შორის სამი ქართველიცაა - ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი და სალომე მელია.

დამატებითი მაჩვენებლებით ძაგნიძე პირველ ადგილზეა, ლომინეიშვილი - მერვეზე, ხოლო მელია - მეთექვსე.

ევროპის 2009 წლის ჩემპიონატზე, საპრიზო ადგილების გარდა, მსოფლიო თასზე გამსვლელი 14 საგზურიც გათამაშდება, რომლისთვისაც 35 ქვეყნის წარმომადგენლები (მათ შორის 64 საერთაშორისო დიდოსტატი) იბრძოლებენ.

ჩემპიონატი 20 მარტამდე გასტანს და შვეიცარიული სისტემით, 11 რაუნდად ჩატარდება. დროის კონტროლი ასეთია: საათნახევარი 40 სვლაზე, შემდეგ კი 30 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.

ზე რობერტოს ეცოტავა

მიუნხენის ჰაიერნმა 34 წლის ბრაზილიელ ნახევარმცველ ზე რობერტოს შესთავაზა ერთი წლით გაახანგრძლივოს კონტრაქტი, რომელსაც მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ გასდის ვადა.

ამაზე ჩემს მენეჯერსა და მეუღლესთან ერთად ვიფიქრებ, - თქვა მან და დასძინა, - ახლა ძალიან კარგ ფორმაში ვარ, ასე რომ, ერთი წელი, რალა დაგიმალოთ და, მეცოტავება. არადა, აქ არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს.

მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილებას ის, სავარაუდოდ, სეზონის დასრულების შემდეგ მიიღებს.

კურანი მუჭირის თანაგუნდელი ხდება

გერმანული მედიის ინფორმაციით, მოსკოვის ლოკო-მოტივს გელზენკირხენის შალკეს 27 წლის თავდამსხმელ კევინ კურანის შეძენა სურს, თანაც - დაუყოვნებლივ. რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა მხოლოდ ამ კვირის ბოლოს იხურება, ასე რომ, მოსკოველ რკინიგზელებს შეუძლიათ ფეხბურთელი ახლავე გადაიყვანონ.

დასამალი არ არის, რომ კურანი შალკეში იარც ისე კარგად გრძნობს თავს. ამ ცოტა ხნის წინ კლუბის ან უკვე ყოფილმა მენეჯერმა ანდრეას მიულერმა გაამხილა, რომ მეგოლეს უკვე ზამთრის პაუზისას ენადა წასვლა.

კურანი შალკეში 2005 წელს შტუტგარტიდან 7 მილიონი ევროს საფასურად გადავიდა და მის შემადგენლობაში ჩატარებულ 118 მატჩში 48 გოლი გაიტანა. მიმდინარე სეზონში მის ანგარიშზე 8 გოლია. კლუბთან კონტრაქტი კი 2010 წლამდე აკავშირებს.

ლიპი მალდინის გაცილებაზე თანახმაა

იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ გუნდში მილანის ვეტერანის პაოლო მალდინის მიწვევა არ გამოიციცხა.

ალსანიშნავია, რომ ინტერნეტ-გამოცემა Goal-მა მალდინის გამოსათხოვარი მატჩის ჩატარების იდეის მხარდასაჭერად აქცია ჩაატარა, ხოლო თავად 40 წლის ფეხბურთელი, რომელიც სეზონის ბოლოს კარიერის დამთავრებას აპირებს, ეროვნული გუნდის მაისურის უკანასკნელად მორგებაზე თანახმაა. ამ თემაზე პაოლოს უკვე ვესაუბრე. ვფიქრობ, ასეთი მატჩის ორგანიზება შეგიძლია, - განაცხადა ლიპიმ. 1988-2002 წლებში მალდინიმ იტალიის ეროვნულ გუნდში 126 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა.

მას ჰკუადრა აძურაში 1988 წლის 31 მარტს იუგოსლავიასთან 1:1 დასრულებულ ამხანაგურ მატჩში ჰქონდა დებიუტი, ხოლო იტალიელთა რიგებში უკანასკნელად 2002 წელს სამხრეთ კორეა-იაპონიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეხა.

უეფას რჩეულები

უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასული გუნდებიდან 10 საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი დაასახელა.

უეფას რჩეულთა შორის მოხვდნენ: სერხიო აგუერო (ატლეტიკო), სერხიო ბუსკეტსი (ბარსელონა), ჯონი ევანსი (შანჩესტერი), პალკი (ჰორტუ), უგო ლორისი (ლიონი), კლაუდიო მარკიზიო (ბუვენტუსი), აარონ რემსი (პრსენალი), ჯუზეპე როსი (ვილიარეალი), დევიდე სანტონი (ინტერი), სიმაუ (პანათინაიკოსი).

“ლეჩე” დი კანოს ჩააბარეს

იტალიური ლეჩეს მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ჯიჯი დი კანო, რომელიც ბოლოს ინგლისურ ჭუინზ პარკ რინჯერსში მუშაობდა. ლეჩე მას შემდეგ დარჩა თავკაცის გარეშე, რაც კლუბის პრეზიდენტმა ჯოვანი სემერა რომ 49 წლის მწვრთნელი მარო ბერეტა არადაამკმაყოფილებელი შედეგების გამო დაითხოვა. სერია A-ს სატურნირო ცხრილში ლეჩე ბოლოსწინა ადგილზეა.

შვიდი ქართველი რეიტინგში

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში 7 ქართველი მოთამაშე მოხვდა, რომელთაგან საუკეთესო ადგილი - 520-ე - ირაკლი ლაბაძეს უკავია.

520 (523). ირაკლი ლაბაძე - 96; 912 (917). ლაზარე კუხალაშვილი - 24; 1007 (1012). ლადო ჩხეიძე - 17; 1191 (1191). ნიკოლოზ ბასილაშვილი - 9; 1319 (1323). ნოდარ ითონიშვილი - 6; 1562 (1564). ბექა ბუჩუკური - 2; 1653 (1655). დემეტრე თაქთაქიშვილი - 2.

"ვიტ ჰორჯია" ლიდერობას ინარჩუნებს

მიხეილ აბიჯილი

გუშინ ჩემპიონობისთვის მეტრძოლი ორი მთავარი ფავორიტის მატჩებით დაიწყო ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 23-ე ტური, რომელშიც ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები მიითვალეს.

ერთპიროვნულმა ლიდერმა "ვიტ ჯორჯიამ", რომელსაც ერთქულიანი ჩამორჩენით კვალში მისდევს თბილისის "დინამო", სულაც გასეირნება მოიწყო კურორტზე. ვეტერინარები გუშინ ბორჯომს ესტუმრნენ, სადაც ადგილობრივ "ბორჯომთან" იოლად იმარჯვეს. სტუმრებმა სამი უპასუხო გოლი გაიტანეს, რის ხარჯზეც მღევართან არსებული მყიფე უპირატესობა შეინარჩუნეს. მატჩის 33-ე წუთზე ანგარიში გახსნა "ვიტ ჯორჯიას" ახალგაზრდა თავდამსხმელმა კვარაცხელიამ და ტაიმი 1:0 დასრულდა.

მეორე ნახევარში, კერძოდ, 66-ე წუთზე, ლიპარტიამ ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა, ხუთიოდე წუთში კი დათუნა იმიღმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

გაცილებით მწვავე გამოდგა მატჩი გლდანში, "ამერის" სტადიონზე, სადაც "გაგრამ" თბილისის "დინამოს" უმასპინძლა. ეს შეხვედრა ვლადიმერ ხაჩიძისთვის ბოლო იყო გაგრელთა მთავარი მწვრთნელის რანგში და, ეტყობა, მისი უკვე ყოფილი გუნდი მაქსიმუმს შეეცადა ხაჩიძისთვის გამოსამშვიდობებელი საჩუქრის მისაძლვნელად. მით უმეტეს, რომ ხაჩიძის ხელმძღვანელობით ამ გუნდმა სეზონის სტარტზე ალბათ ყველაზე ხმაურიანი სენსაცია სწორედ "დინამოსთან" დააფიქსირა. მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ტურში



ვანაძემ გამარჯვების გოლი გაიტანა

დებიუტანტმა "გაგრამ" ჩემპიონ "დინამოს" 2:1 მოუგო და იმ წარმატებლობის შედეგებს რაინერ ცოხელის გუნდი დღემდე იმკის - წარმატებული მატჩების სერიის მიუხედავად, კვლავაც მეორე პოზიციაზეა.

მატჩი ამჯერადაც დაძაბულად წარიმართა და, მართალია, გამარჯვება მაინც ფავორიტს დარჩა, მაგრამ ამისთვის ბევრი ოფლის ღვრა დასჭირდა. შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიდა: 25-ე წუთზე თავი გამოიჩინა "დინამოს" ახალგაზრდა თავდამსხმელმა მათე ვანაძემ. დარჩენილ დროშიც მოქმედი ჩემპიონ

ნისა და ამ ტიტულის შენარჩუნების მოშურნე "დინამოს" უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა, ეპიზოდებში "გაგრაც" "იჩხვლიტებოდა" მწვავე კონტრშეტევებით. საბოლოოდ "დინამომ" მინიმალური უპირატესობა შეინარჩუნა და არცთუ დამაჯერებელი თამაშით მნიშვნელოვანი სამი ქულა შემატა საკუთარ ყულაბას. სტატუს კვო შენარჩუნდა: ლიდერებს შორის სხვაობა ისევ ერთი ქულაა. "გაგრას" კი მომდევნო, 24-ე ტურიდან უკრაინელი ფეხბურთის ვლადიმერ კაშჩეი განერთინს.

დღეს გაიმართება ტურის

დარჩენილი სამი მატჩი. ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს რუსთაველი დაგეგმილი მატჩი, სადაც ადგილობრივი "ოლიმპი" საქართველოს თასის მფლობელს - "ზესტაფონს" უმასპინძლებს. ეს გუნდები მესამე-მეოთხე პოზიციას იკავებენ და ალბათ სწორედ ამ ორი გუნდიდან ერთ-ერთი ირგუნებს ბრინჯაოს მედლებს. რაც შეეხება სხვა ორ თამაშს, ვაკეში, მიხეილ მესხის არენაზე, "ლოკომოტივი" ახალციხის "მესხეთს" უმასპინძლებს, ხოლო ზუგდიდში "მგლები" ბოლნისის "სიონს" დაუხვდება.

ზუკას თასი საერთაშორისო მასშტაბაზე იძენს



"ზუკას" თასის ორგანიზატორები ტურნირს მაისში დაგვირდნენ

სახელობის გარდამავალი თასი, რომლის ავტორიც ცნობილი მოქანდაკე, ლევან ვარდოსანიძეა.

ზოგადად ლევან ვარდოსანიძისთვის სპორტული, ამ შემთხვევაში კი სპორტის საწყლოსნო თემაზე შექმნილი ნამუშევარი უცხო არაა. მისი სადიპლომო ნამუშევარი წყალშიმტომელი აკადემიის ფოიეშია გამოფენილი. გარდა ამისა, მოგვიანებით შექმნა ბრასით მოცურავეც.

და რაც მთავარია, მისმა ნამუშევრებმა - ბეისბოლისტი და ჩემპიონი - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) მიერ გამოცხადებულ კონკურსებზე 2000 და 2008 წლებში, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, რომელიც დღეს ლოზანაში სოკ-ის შტაბ-ბინაშია

(შვეიცარია) წარმოდგენილი თუ დაცული.

ზუკას თასი ისევე როგორც ვარდოსანიძის სხვა ნამუშევრები მეტად ორიგინალურად - არატრადიციულადაა შესრულებული. ესაა ტალღაზე მოქცეული წყალბურთელი, მარჯვენა ხელში მომარჯვებული ბურთი, რომელიც ეს ესაა, თანაგუნდელისთვის ბურთის გადაწოდებას ცდილობს. და თუ მაინც ზუკაზე ბევრი რამ არ იცით, იმას გეტყვით, რომ უზაღლო მეკარე იყო. ვარდოსანიძემ საკუთარ ნამუშევარში ეს დეტალიც გაითვალისწინა და წყალბურთელს ქუდზე N1 ამოატივთრა.

შემთხვევით არ მომხდარა ის, რომ თასის დამზადება მანდეს, - ვითარებაში გვარკვევს ლევან ვარდოსანიძე. - მაქსიმალურად შევე-

ცადე სტანდარტული თასის პრინციპიდან გამოვსულიყავი და გამეკეთებინა ისეთი რამ, რაც საყოველთაოდ დამკვიდრებული მრგვალი ფიალისებური თასისგან იქნებოდა განსხვავებული. ამასთან შევეცადე მასში ჩამესვა ზუკას ხასიათი.

ზუკას თასი გარდამავალი იქნება. თუ კი 2007 და 2008 წლის გათამაშებები საქართველოს ნაკრების გამარჯვებით სრულდებოდა, წლეულს, მსგავსი შედეგის განმეორება, ალბათ გაჭირდება.

აკი, ტურნირის ორგანიზატორმა თათა სახელაშვილმა, რომელიც ზუკას დაა, სინანულითაც აღნიშნა, ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეული იქნება თუ ეს თასი საქართველოს დატოვებოსო. ასე რომ, პირველ ჯერზე მაინც უნდა შევეცადოთ თასი საქართველოში დარჩეს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აცხადებს ტენდერს აზოზოტი მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი – აზოზოტი მომსახურება

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი

რეკვიზიტები: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ქ. თბილისი, გიორგი ჭანტურია ქ. №12

ლოტი	რეგიონი	მომსახურების დასახელება	აზოზოტი მომსახურების სავარაუდო რაოდენობა
1	ქობილისი	ა. ტოპოგოდეზიური რუკის დამზადება ბ. საკადასტრო აზომებით ნახაზის დამზადება გ. შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტის დამზადება	5208000 კვ.მ 5208000 კვ.მ 93000 კვ.მ სულ: 10509000 კვ.მ
2	სამეგრელო-გურიი-სვანეთი	ა. ტოპოგოდეზიური რუკის დამზადება ბ. საკადასტრო აზომებით ნახაზის დამზადება გ. შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტის დამზადება	45400 კვ.მ 567500 კვ.მ 18160 კვ.მ სულ: 631060 კვ.მ
3	სამცხე-ჯავახეთი	ა. ტოპოგოდეზიური რუკის დამზადება ბ. საკადასტრო აზომებით ნახაზის დამზადება გ. შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტის დამზადება	16360 კვ.მ 204500 კვ.მ 6544 კვ.მ სულ: 227404 კვ.მ
4	ქვემო ქართლი	ა. ტოპოგოდეზიური რუკის დამზადება ბ. საკადასტრო აზომებით ნახაზის დამზადება გ. შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტის დამზადება	211480 კვ.მ 2643700 კვ.მ 84600 კვ.მ სულ: 2939780 კვ.მ
5	შიდა ქართლი	ა. ტოპოგოდეზიური რუკის დამზადება ბ. საკადასტრო აზომებით ნახაზის დამზადება გ. შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტის დამზადება	132520 კვ.მ 1656300 კვ.მ 53000 კვ.მ სულ: 1841820 კვ.მ
6	კახეთი	ა. ტოპოგოდეზიური რუკის დამზადება ბ. საკადასტრო აზომებით ნახაზის დამზადება გ. შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტის დამზადება	229520 კვ.მ 2868700 კვ.მ 91800 კვ.მ სულ: 3190020 კვ.მ
7	რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთი	ა. ტოპოგოდეზიური რუკის დამზადება ბ. საკადასტრო აზომებით ნახაზის დამზადება გ. შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტის დამზადება	299160 კვ.მ 3739900 კვ.მ 1196800 კვ.მ სულ: 5235860 კვ.მ
8	მცხეთა-მთიანეთი	ა. ტოპოგოდეზიური რუკის დამზადება ბ. საკადასტრო აზომებით ნახაზის დამზადება გ. შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტის დამზადება	149760 კვ.მ 1871800 კვ.მ 59896 კვ.მ სულ: 2081456 კვ.მ

მომსახურება უნდა მიეწოდოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და მის ტერიტორიულ ორგანოებს – სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსახერო სამმართველოებს მოთხოვნის შესაბამისად 2009 წლის ბოლომდე.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი 2009 წლის 2 აპრილს 12:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, გიორგი ჭანტურია ქ. №12 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი, მე-3 სართული.

ხოლო წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2009 წლის 2 აპრილს 12:00 სთ-ზე საქართველო, თბილისი, გიორგი ჭანტურია ქ. №12 9-ე სართულზე კომისიის თავმჯდომარის ოთახში.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიულ პირთათვის:

- მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს რეგისტრირებული საჯარო სამართლებრივი შესღუღვა (ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან), არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა შესაბამისი ორგანოდან).
- მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელობის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან)
- სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს.

ფიზიკურ პირთათვის:

- უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)
- მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან)
- სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონ/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

დამატებითი მოთხოვნები:

- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გაანჩია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან)
- ინფორმაცია უკანასკნელი 2(ორი) წლის განმავლობაში განსორცხვადებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.
- ინფორმაცია დასაქმებულ პირთა რაოდენობის და კვალიფიკაციის შესახებ, ფიზიკური პირის შემთხვევაში ფიზიკური პირის გამომცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ. (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები).
- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ფლობის შესახებ, (შესაბამისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით).
- პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა ერთეულის ფასის მითითებით მომსახურების დასახელების მიხედვით 1 კვ.მ-ზე, ხოლო სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა იყოს წარმოდგენილი ლოტის მიხედვით აზომებით მომსახურების მოლიან სავარაუდო რაოდენობაზე.

ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უსრუველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უსრუველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

თუ შესეიდევაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისია ახდენს ამ პირის ლიკვალიფიკაციას.

დაინტერესებულმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებაზე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. საიდენტიფიკაციო კოდი 203840433 სახელის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ცენტრალიზებული ანგ.№200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174

სატენდერო დოკუმენტაცია შევსებული ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 12 მარტიდან 2009 წლის 1-ლი აპრილის საღამოს 19 საათამდე, შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თბილისი, გიორგი ჭანტურია ქ. №12. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ☎ 99-10-76 მიხეილ გიგაური, ვლადიმერ კოხრიძე.

